

მერი ქადაგიძე

COVID19-ის გავრენა სასკოლო ბანათების სისტემაზე:

პანდემიით გამოწვეული სასწავლო
ღანაპანების შეფასება

2021

**COVID 19-ის გავრცელება სანსკოლო განათლების სისტემაზე:
კანდიდიტით გამოწვეული სანსკოლო დანაკარგების შეფასება**

კვლევის ავტორი:
მერი ქადაგიძე

კვლევაზე ასევე მუშაობდნენ:
თამარ ბრეგვაძე, რევაზ აფხაზავა, ირინა აბულაძე,
ირინა ხანთაძე, გიორგი ჭანტურია და ლიკა ბაალიშვილი

კვლევა - COVID19-ის გავლენა სასკოლო განათლების სისტემაზე: პანდემიით გამოწვეული სასწავლო დანაკარგების შეფასება - მოამზადა განათლების კოალიციამ, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია განათლების კოალიცია. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ს შეხედულებებს.

საჩივრი

1 შესავალი	2
1.1 რა არის სასწავლო დანაკარგი და როგორ ვზომავთ მას?	3
1.2 კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო და მეთოდოლოგია	4
1.3 კვლევის მეთოდოლოგია	6
2 სასწავლო დანაკარგების ანალიზი პანდემიის პირობებში - ძირითადი მიგნებების აღწერა	8
2.1 სასწავლო დროის შემცირება	8
2.2 სასწავლო დანაკარგები ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით	10
2.3 მოსწავლეების მოტივაციის შემცირება	14
3 დისტანციური სწავლების ხარისხზე და ხელმისაწვდომობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი სასწავლო დანაკარგებთან მიმართებით	16
3.1 ტექნიკასა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა	18
3.2 სასწავლო პროცესის ორგანიზება	19
3.3 მასწავლებლების კომპეტენციები	20
3.4 მშობლების ჩართულობა და მხარდაჭერა	22
3.5 მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციები	24
4 ძირითადი მიგნებების ანალიზი	26
4.1 სასწავლო დანაკარგების მოცულობა დისტანციური სწავლების ეფექტიანობის კონტექსტში	26
4.2 სასწავლო დანაკარგები და უთანასწორობა დისტანციური სწავლების კონტექსტში	27
5 რეკომენდაციები	29
5.1 რემედიაციის პროგრამების განხორციელება COVID-19 პანდემიით გამოწვეული სასწავლო დანაკარგების აღმოფხვრისთვის	29
5.2 რეკომენდაციები ეფექტიანი რემედიალური პოლიტიკის შემუშავებისთვის	30
5.3 რემედიაციის პროგრამების იმპლემენტაცია და მართვა	31
გამოყენებული ლიტერატურა	34
დანართი 1. რემედიაციის პროგრამები: საერთაშორისო გამოცდილება	37
დანართი 2. კვლევის შერჩევის ჩარჩო	41
დანართი 3. სასწავლო დანაკარგების შესწავლა პანდემიის პირობებში	44

აბსტრაქტი

2020 წლის გაზაფხულზე, COVID-19 – გლობალური პანდემიის შედეგად სკოლების დახურვამ მილიარდი მოსწავლე დატოვა სკოლის მიღმა. ქვეყნები და ოჯახები მძიმე ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდნენ, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა უთანასწორობა განათლების მიღების შესაძლებლობებში. აღნიშნული გამოწვევების დაძლევის მიზნით, მთავრობებმა დაიწყეს სასწავლო დანაკარგების შეფასება რემედიალური ინიციატივების განხორციელებისთვის, რაც რიგი მკვლევარებისა და ორგანიზაციების მიერ სკოლების დახურვის ეფექტის შემცირების უალტერნატივო გზად მიიჩნევა.

გლობალური პანდემიის შედეგები საქართველოს განათლების სისტემაზეც აისახა და 2020 წლის მარტში სასწავლო პროცესი შეწყდა, ხოლო მოგვიანებით დისტანციურ რეჟიმში გაგრძელდა. თუმცა, მოსალოდნელი სასწავლო დანაკარგების მონიტორინგი და კვლევა ახალი სასწავლო წლისთვის არ განხორციელებულა, შესაბამისად, სკოლების დახურვის პირველი ტალღის შემდგომ სისტემამ მუშაობა რემედიაციის სტრატეგიის გარეშე დაიწყო.

წინამდებარე კვლევის მიზანია სასწავლო დანაკარგების შეფასება საქართველოს კონტექსტში და რეკომენდაციების მომზადება 2021-2022 წლისთვის ეფექტიანი, შედეგზე ორიენტირებული რემედიაციის პროგრამების შემუშავებისთვის. კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდების კომბინირებული გამოყენებით. საკითხის განხილვაში ფოკუს ჯგუფებისა და პირისპირ ინტერვიუს ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 100-მდე რესპონდენტმა. სულ განხორციელდა 10 ფოკუს ჯგუფი და 10 პირისპირ ინტერვიუ.

კვლევის ფარგლებში მკაფიოდ გამოჩნდა, რომ პირისპირ სწავლების შეწყვეტისა და დისტანციური სწავლების პერიოდში მოსწავლეებს ჰქონდათ მნიშვნელოვანი სასწავლო დანაკარგი ყველა საფეხურზე და საგნობრივ ჯგუფში, თუმცა კვლევის რესპონდენტების მიერ საგნობრივ ჭრილში აღქმული სასწავლო დანაკარგი ყველაზე მაღალია მათემატიკაში.

სასწავლო დროის დანაკარგის თვალსაზრისით, თითქმის 1.5-2 ჯერ და ცალკეული საგნების შემთხვევაში, კიდევ უფრო შემცირდა საკონტაქტო საათების რაოდენობა სწავლა-სწავლების პროცესში, რამაც ხელი შეუწყო საგნობრივი და გამჭოლი კომპეტენციების კუთხით სასწავლო ჩამორჩენის გაღრმავებას. ამასთან, ონლაინ სწავლების დროს ხშირი იყო ტრადიციული სასწავლო პროცესის ონლაინ სივრცეში უცვლელად გადმოტანის შემთხვევები, რაც საკონტაქტო საათების შემცირებასთან ერთად ნეგატიურად აისახა მოსწავლეების დისციპლინაზე, მოტივაციაზე და დამოუკიდებლად სწავლის უნარებზე.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უმოკლეს დროში შეძლო სასწავლო პროცესის დისტანციურ ფორმატში აღდგენა, თუმცა მოსწავლეთა უნივერსალური და ინკლუზიური ჩართულობის უზრუნველყოფასთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ განეული ძალისხმევა არაეფექტური აღმოჩნდა ყველაზე მონყვლადი და მაღალი რისკის ჯგუფის მოსწავლეებისათვის, განსაკუთრებით ციფრული უთანასწორობის შემცირების კონტექსტში.

დაბოლოს, საგულისხმოა, რომ დისტანციური სწავლების თითქმის 1 წლიანი ციკლის შემდგომაც კი დაბალია სასწავლო დანაკარგების მნიშვნელობის აღქმა და შესაბამისად, რეფლექსიური, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მსჯელობა, რაც დამატარკოლებელი ფაქტორია მაკომპენსირებელი ღონისძიებების დაგეგმვისთვის.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კვლევის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები მიემართება, როგორც ეფექტიანი რემედიალური პოლიტიკის შემუშავებას და საკითხის აქტუალიზებას განათლების სისტემაში და ინტერსექტორულ დონეზე, ასევე, რემედიაციის პროგრამების მართვის საკითხებს მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში.

1 შესავალი

COVID-19-ით გამოწვეული პანდემია განათლების სისტემისთვის საუკუნის ყველაზე მძიმე გამოწვევა აღმოჩნდა, რომლის შედეგადაც, თვეების განმავლობაში, 1,6 მილიარდი ბავშვი ვერ ესწრებოდა სკოლაში გაკვეთილებს. გლობალურად, პირისპირ სასწავლო პროცესი შეწყვეტილი იყო საშუალოდ 50 დღემდე, თუმცა ეს რიცხვი განსხვავებულია ქვეყნებს შორის სასწავლო აკადემიური კალენდრისა და ასევე შემოსავლების განაწილების ჯგუფების მიხედვით (UNESCO, UNICEF and the World Bank , 2020).

განათლების ეკონომიკის მკვლევარების შეფასებით, სასწავლო პროცესის ხანმოკლე შეწყვეტაც კი მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსწავლეების მიღწევებზე (Alban Conto et al., 2020). განათლების ეკონომიკის კვლევები ასევე აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესში ჩართულობის ყოველი დამატებითი წელი, საშუალოდ, ინდივიდის შემოსავალს ზრდის 7.5-10%-მდე, შესაბამისად, სასწავლო წლის 1/3-ის დაკარგვა ინდივიდის შემოსავლის 3%-ით შემცირებას შეიძლება პროგნოზირებდეს (Hanushek & Woessmann, 2020). მსოფლიო ბანკის (2020) თანახმად, გლობალურად, სკოლების 5 თვიანმა დახურვამ შეიძლება გამოიწვიოს სასწავლო დანაკარგები, რომელთა ამჟამინდელი ღირებულება 10 ტრილიონი აშშ დოლარს აჭარბებს (Azevedo et al., 2020).

მაღალშემოსავლიანი ქვეყნებისა და რეგიონების გამოცდილება ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის შეფერხება, სასწავლო დანაკარგების გაჩენასთან ერთად, აღრმავებს უთანასწორობას. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში სასწავლო დანაკარგი კიდევ უფრო მეტი იქნება, როგორც ქვეყნის ასევე სკოლის დონეზე, ციფრულ ტექნოლოგიებზე და სხვა დამხმარე მასალებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის გამო (UNESCO, UNICEF and the World Bank , 2020; Sabateset al., 2021).

სასწავლო დანაკარგების შესახებ ხელმისაწვდომი კვლევების მიხედვით, დისტანციური სწავლების გარკვეული ფორმის გამოყენების მიუხედავად, სწავლების პროცესში მოსწავლეებს, სავარაუდოდ, მაინც ექნებოდათ სასწავლო დანაკარგები. ცალკეული კვლევები მოსწავლეების მიერ პანდემიის პირობებში წიგნიერებაში მიღწევების დაახლოებით 70%-ს და მათემატიკაში 50%-ს პროგნოზირებდა (UNESCO, 2020), თუმცა ეს მონაცემები 2021 წლისთვის განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში, სწავლის შეწყვეტაზე რეაგირებისა და რემედიაციის პროგრამების ეფექტიანობის მიხედვით.

მსოფლიო პანდემია და განათლების სისტემის კრიზისი საქართველოსაც შეეხო. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესი 1 თვეზე ნაკლები ვადით იყო შეწყვეტილი და დისტანციური სწავლების უზრუნველყოფისთვის, პოლიტიკის დონეზე, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ სასწავლო დანაკარგების არიდება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანია სასწავლო დანაკარგების შეფასება საქართველოს კონტექსტში და რეკომენდაციების მომზადება 2021-2022 წლისთვის ეფექტიანი, შედეგზე ორიენტირებული რემედიაციის პროგრამების შემუშავებისთვის.

1.1 ჩა აჩის სასწავლო დანაკარგი და ჩომონ ვომავთ მას?

ტერმინი სასწავლო დანაკარგი განიმარტება როგორც ცოდნისა და უნარების სპეციფიკური დანაკარგი ან აკადემიურ განვითარებაში შეფერხება, რაც ძირითადად დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის შეწყვეტასთან ან/და შესაძლებლობებს შორის უთანასწორობის გაღრმავებასთან. (UNESCO, 2020).

სასწავლო დანაკარგში შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი კატეგორიები (UNESCO, 2020):

1. აკადემიური დანაკარგები - მოიცავს კურიკულუმთან დაკავშირებულ იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც უნდა შეეძინა მოსწავლეს დროის გარკვეულ პერიოდში;
2. სოციალური დანაკარგები - გულისხმობს სოციალური იზოლაციით, თანატოლებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობის შეზღუდვით მოსწავლის სოციალურ განვითარებაში შეფერხებას;
3. ფსიქო-ემოციური დანაკარგები - დაკავშირებულია ყოველდღიური რუტინისა და სტაბილურობის რღვევით გამოწვეულ სტრესთან, არასტაბილურ გარემოსთან ადაპტირებასთან, გაურკვევლობით გამოწვეულ მდგომარეობასთან. სტრესთან, არასტაბილურ გარემოსთან ადაპტირებასთან, გაურკვევლობით გამოწვეულ მდგომარეობასთან.

ბევრს დასახელებულ თითოეულ განზომილებაში დანაკარგები განსხვავებულია სხვადასხვა ასაკის, საცხოვრებელი ადგილის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ემოციური განვითარების მოსწავლეებში, თუმცა, თითქმის ყველა კატეგორიაში ამა თუ იმ პროპორციით ფიქსირდება თითოეული სახის სასწავლო დანაკარგი (UNESCO, UNICEF and the World Bank, 2020).

ამასთან, როდესაც საუბრობენ სასწავლო დანაკარგზე, განარჩევენ მის, სულ მცირე, ორ ფორმას:

1. სასწავლო დანაკარგი, რომელსაც ადგილი ჰქონდა სასწავლო პროცესის სრულად შეწყვეტის დროს;
2. სასწავლო დანაკარგი, რომელსაც ადგილი ჰქონდა დისტანციური ან/და ჰიბრიდული სწავლების დროს.

OECD გასცემს რეკომენდაციას, რომ მოხდეს სასწავლო დანაკარგის გაზომვა და შეფასება, როგორც სკოლების სრული დახურვის, ისე დისტანციური სწავლების პერიოდში, რადგანაც სწავლების დისტანციური და სხვა ფორმები სრული ხარისხით ვერ ანაცვლებს სწავლების ტრადიციულ ფორმას და ვერ უზრუნველყოფს დანაკარგის პრევენციას (Hanushek & Woessmann, 2020).

COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული დანაკარგის შეფასებისათვის იუნესკომ შეიმუშავა ერთგვარი ჩარჩო, რომელიც მიღებული მონაცემების მიხედვით, საშუალებას იძლევა, შეფასდეს სასწავლო დანაკარგის ორი განზომილება: დანაკარგის მოცულობა და მისი განაწილება სხვადასხვა ჯგუფს შორის.

სასწავლო დანაკარგის მოცულობა

სასწავლო დანაკარგის მოცულობა წარმოადგენს ცვლადს, რომელიც შეიძლება გამოისახოს წლებში, ქულებში, პოტენციური შემოსავლის რაოდენობაში. უფრო კონკრეტულად, სასწავლო დანაკარგი აღინერება აკადემიურ მოსწრებაში განსხვავებების სახით, რაც გულისხმობს, ამა თუ იმ საფეხურზე, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შემცირებას, სხვა ცვლადების გაკონტროლების პირობებში და აკადემიურ მიღწევებში განსხვავებების სახით, როდესაც მოსწავლეთა მიერ ეროვნულ, ყოველწლიურ სტანდარტიზებულ გამოცდებსა და შეფასებებში მიღებული ქულები მცირდება, სკოლიდან გარიცხვისა და სკოლის მიტოვების მაჩვენებლებით (UNESCO, 2020).

სასწავლო დანაკარგის განაწილება

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში უთანასწორობის საკითხი აქტუალურობას არ კარგავს. მოსწავლეებს, მათი საცხოვრებელი ადგილის, სქესის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების გათვალისწინებით, განსხვავებულად მიუწვდებიან ხელი ხარისხიან განათლებაზე. COVID19-ის საგანმანათლებლო სისტემაზე გავლენის შესასწავლად ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ სასწავლო დანაკარგები უთანასწოროდ არის განაწილებული. კერძოდ, მონაცვლადი ჯგუფებისათვის ის მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მოსწავლეთა მენისტრიმული უმრავლესობისათვის (UNESCO, UNICEF and the World Bank, 2020). COVID19-ით გამოწვეულმა პანდემიამ გაამწვავა უკვე არსებული უთანასწორობა საგანმანათლებლო სივრცეში. დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის შედეგად, სასწავლო პროცესი უფრო მეტად გახდა დამოკიდებული საშინაო გარემოსთან და შესაბამისად, მოსწავლისა თუ მასწავლებლის სოციალურმა, ეკონომიკურმა, დემოგრაფიულმა მდგომარეობამ უფრო მეტი გავლენა იქონია განათლების ხარისხზე (Schleicher, 2020).

აღნიშნული ცვლადების საშუალებით, სასწავლო დანაკარგების გაზომვის მიზნით სხვადასხვა მიდგომა გამოიყენება. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია დანაკარგების პირდაპირი გაზომვა მოსწავლეთა პოპულაციური კვლევების საშუალებით, რომელიც აჩვენებს მოსწავლის მიღწევების სხვაობას სასწავლო პროცესის შეწყვეტამდე/ცვლილებამდე და შემდგომ. მეორე, ასევე გავრცელებული, მიდგომაა დანაკარგების პროგნოზირება მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ხელმისაწვდომი სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენებით. ცალკეულ სახელმწიფოებში სასწავლო დანაკარგების შესწავლა განხორციელდა არაპირდაპირი გაზომვის.

წინამდებარე კვლევის კონცეფცია ეფუძნება სწორედ აღნიშნულ მეთოდოლოგიას და წარმოადგენს მის ადაპტირებულ და საქართველოს კონტექსტზე მორგებულ ვერსიას.

1.2 კვლევის კონსეპტუალური ჩარჩო და მეთოდოლოგია

საქართველოში, სასწავლო პროცესის შეწყვეტისა და შემდგომ დისტანციური სწავლებისას, სასწავლო დანაკარგის შეფასების კვლევის მიზნებისთვის, სასწავლო დანაკარგი განისაზღვრება როგორც დანაკარგი იმ ცოდნაში, უნარებსა, და დამოკიდებულებებში, რომლებიც მოსწავლეს უნდა შეეძინა პირისპირ სწავლების პირობებში. კვლევა აქცენტს აკეთებს სასწავლო აკადემიური დანაკარგების შეფასებაზე და მიზნად ისახავს, დანაკარგების მოცულობის შესწავლას, დახასიათებასა და მისი განაწილების ტენდენციის აღწერას.

სასწავლო დანაკარგის მოცულობის პირდაპირი საზომია მოსწავლეების აკადემიური მოსწრების ან მიღწევების ცვლილება, რაც გულისხმობს მათი შედეგების შეფასებას და შედარებას საბაზისო/სწავლის შეწყვეტამდე არსებულ მაჩვენებლებთან. კვლევითი პროექტის ფარგლებში, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის დანახვა სკოლის/სისტემის დონეზე პირდაპირი გაზომვის გზით შეუძლებელია ერთი მხრივ პროექტის განხორციელების ვადებთან, ადამიანურ-ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებული ლიმიტაციებისა და მეორე მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს საბაზისო წლის პოპულაციური(ყველა მოსწავლის მონაწილეობით) კვლევის შედეგები. აქედან გამომდინარე, სასწავლო დანაკარგების მოცულობის შესწავლა და შეფასება განხორციელდა შემდეგი განზომილებების მიხედვით:

სასწავლო დანაკარგის მოცულობის ძირითადი განზომილებები	ძირითადი ჭრილები
დრო - (სწავლა - სწავლებისთვის დათმობილი დროის შემცირება)	<ul style="list-style-type: none"> ▶ კალენდარული წლის ხანგრძლივობა / სასწავლო კვირების რაოდენობა კალენდარული წლის განმავლობაში ▶ ამა თუ იმ დისციპლინაში საკონტაქტო საათების რაოდენობა ▶ გაკვეთილის ხანგრძლივობა ▶ მოსწავლეთა დასწრება / ჩართულობის შემცირება
შინაარსი - (ესგ-ით განსაზღვრული მიზნების მიღწევა)	<ul style="list-style-type: none"> ▶ კურიკულუმის დაფარვა (კურიკულუმით განსაზღვრული საკვანძო ცნებების შესწავლა, - რამდენად მოხერხდა ყველა სამიზნე ცნების გაცნობა და მოსწავლეებისათვის?) ▶ ცვლილებები კურიკულუმში (თემატიკის, შინაარსის შემცირება; ჩანაცვლება)
მოტივაცია	<ul style="list-style-type: none"> ▶ დამოკიდებულებები სკოლისა და სწავლის მიმართ, სკოლისადმი მიკუთვნებულობა ▶ თვითეფექტურობა

კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ არამხოლოდ სკოლების დახურვის, არამედ დისტანციური სწავლების პროცესში წარმოქმნილი დანაკარგებიც. სასწავლო დანაკარგების განაწილების და მონწყვლადი ჯგუფების გამოვლენის მიზნით, არსებულ განზომილებები გავაანალიზეთ დისტანციური სწავლების ეფექტიანობასთან მიმართებით. დისტანციური სწავლების ეფექტიანობის ანალიზისთვის შევისწავლეთ სიტუაცია იმ ცვლადების მიხედვით, რომლებიც შესაძლებელია გავლენას ახდენდეს როგორც დისტანციური სწავლების ხარისხზე, ასევე ხელმისაწვდომობაზე.

ძირითადი განზომილებები	ძირითადი ჭრილები
მოსწავლე	<ul style="list-style-type: none"> ▶ დემოგრაფიული მახასიათებლები შშმ ან/და სსსმ სტატუსი; ▶ ეთნიკური კუთვნილება; ▶ მოსწავლის თვითეფექტურობა, ICT ფლობა; ▶ მხარდაჭერა სახლში (მშობლების მიერ შვილებთან გატარებული დრო, დახმარება საშინაო დავალებების მომზადებაში, რესურსებით უზრუნველყოფა);
სკოლა	<ul style="list-style-type: none"> ▶ მასწავლებლის მზაობა და კომპეტენციები; ▶ მდებარეობა და ზომა; ▶ ციფრული და აიტი ინფრასტრუქტურა; ▶ სასწავლო კურიკულუმზე მუშაობა და სასწავლო პროცესების ორგანიზება;

მიგვაჩნია, რომ კვლევის არსებული კონცეფცია იძლევა სასწავლო დანაკარგების შეფასებისა და საკვანძო მიმართულებების გამოყოფის შესაძლებლობას, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მხარეებს, ერთი მხრივ, განავითარონ კვლევა და, მეორე მხრივ, შეიმუშაონ რელევანტური და ქმედითი რეგულაციის პროგრამები.

1.3 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდი

კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდების კომბინირებული გამოყენებით, კერძოდ:

მეორეული ინფორმაციის ანალიზი: მეორეული ინფორმაციის ანალიზის ფარგლებში შევისწავლეთ სკოლების დახურვასა და დისტანციური სწავლების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული მონაცემები. ასევე, გავაანალიზეთ ამ დრომდე დისტანციური სწავლების ეფექტიანობასთან და სასწავლო დანაკარგებთან დაკავშირებული კვლევები. კონკრეტულად, მეორეული ინფორმაციის ანალიზის ფარგლებში შესწავლილ იქნა:

1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია დისტანციური სწავლების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით;
2. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებული რეკომენდაციები, ანგარიშები და გზამკვლევები, რომელიც უკავშირდება დისტანციური სწავლების მართვას;
3. მეორეული სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია MICS eagles და MICS plus კვლევების ფარგლებში;
4. განხორციელებული კვლევები, რომელიც უკავშირდება დისტანციური სწავლების ეფექტიანობას ან/და სასწავლო დანაკარგს.

ფოკუს ჯგუფები და ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან

ვინაიდან სასწავლო დანაკარგის შეფასების პრაქტიკა და გამოცდილება საქართველოში არ ყოფილა და თავად დანაკარგის ცნება და მისი განზომილებები ახალია მიზნობრივი ჯგუფებისთვის, კვლევის საწყის ეტაპზე, დამხმარე მეთოდად გამოვიყენეთ დელფის მეთოდოლოგიის პრინციპზე დაფუძნებული ანკეტა (დანართი 2). ანკეტის გამოყენების მიზანი იყო დანაკარგების ძირითადი განზომილებების გაცნობა დისკუსიის მომავალი მონაწილეებისათვის და ჩალრმავებული პირისპირ და ჯგუფური მსჯელობის სტიმულირება ამ განზომილებების გარშემო. ექსპერტული პანელის გამოკითხვის პირველი რაუნდის შემდგომ დანაკარგების სხვადასხვა პერსპექტივით აღწერისა და გამოკვეთილი ტენდენციების ანალიზის მიზნით გაიმართა ფოკუს ჯგუფები და პირისპირ ინტერვიუები დასახელებულ სამიზნე ჯგუფებთან. საკითხის განხილვაში ფოკუს ჯგუფებისა და პირისპირ ინტერვიუს ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 100 მდე რესპონდენტმა. სუ განხორციელდა 10 ფოკუს ჯგუფი და 10 პირისპირ ინტერვიუ.

რესპონდენტთა ძირითადი ჯგუფების/კატეგორიების იდენტიფიცირება პირველ ეტაპზე განხორციელდა მაქსიმალური ვარიაციის პრინციპის დაცვით. ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენდა: სკოლის მდებარეობა, სკოლის ზომა, სწავლების ენა, საგნობრივი ჯგუფის მიხედვით (მასწავლებლების შემთხვევაში), ახალ სკოლის მოდელში მონაწილეობა.

კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების შიგნით მასწავლებლები და დირექტორები შეირჩნენ კრიტიკული ქეისების შერჩევის პრინციპით, კერძოდ შევარჩიეთ ის რესპონდენტები რომლებიც გარდა მაღალი პროფესიული კომპეტენციისა, სარგებლობენ კოლეგების ნდობით, აღიარებით, ჩართულობით არიან პროფესიულ და სამოქალაქო საქმიანობაში, შეუძლია სასწავლო პროცესის კრიტიკული ანალიზი და ფართო სურათის აღქმა და შეფასება (შერჩევის დეტალური ჩარჩო იხილეთ დანართი 2)

კვლევის ძირითადი შეზღუდვები

საქართველოს კონტექსტში სასწავლო დანაკარგის შეფასების ძირითადი შეზღუდვა უკავშირდება სასწავლო დანაკარგის პირდაპირი გზით შეფასების სირთულეს.

სასწავლო დანაკარგის შეფასება პირდაპირი გზით მოიაზრებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასებას და შედარებას მათ საბაზისო/სწავლის შეწყვეტამდე არსებულ შედეგებთან. აღნიშნული შედეგების გენერირების ძირითადი წყაროა ქვეყნის დონეზე ეროვნული სტანდარტიზებული შეფასება, ხოლო სკოლის დონეზე მოსწავლის წლიური/სემესტრული ნიშანი. კვლევის ჯგუფისთვის, კვლევის განხორციელების მომენტისთვის, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის დანახვა სკოლის/სისტემის დონეზე და 2019 წლის მონაცემების შედარება მოსწავლეთა არსებულ მიღწევებთან შეუძლებელია არსებული მონაცემების ხელმისაწვდომობის სირთულისა და მათი სანდოობის გათვალისწინებით.

ამასთან, კვლევის შეზღუდული ვადები, არსებული რესურსი და კვლევის განმახორციელებლის სტატუსი ვერ უზრუნველყოფდა ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარებას, რომელიც შეძლებდა მოსწავლეთა შედეგების ან მათ მიერ აღქმული სასწავლო დანაკარგის, კმაყოფილებისა და შესაძლო საჭიროებების მრავალკომპონენტიან შეფასებას და განზოგადებას მთლიან პოპულაციაზე.

მონაცემების ხარისხი

მეორეული ინფორმაციის ანალიზმა, ისევე როგორც პირისპირ ინტერვიუებმა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან ცხადყო, რომ ხელმისაწვდომი რაოდენობრივი მონაცემები, რიგ შემთხვევებში, არ არის სანდო და არ ასახავს რეალურ სურათს სკოლის და სისტემის დონეზე. აღნიშნულ მონაცემებში მოიაზრება მოსწავლეთა ნიშნები, გაკვეთილზე დასწრების მაჩვენებლები, ონლაინ პლატფორმების გამოყენების მაჩვენებლები. შესაბამისად, კვლევის ფარგლებშიც არსებული მონაცემები გაანალიზდა თვისებრივ ინფორმაციასთან კომბინირებულად, რათა შესაძლებელი იყოს მაქსიმალურად ობიექტური სურათის აღწერა.

სამიზნე ჯგუფების დაბალი მზაობა და სასწავლო დანაკარგებზე სუსტი რეფლექსური მსჯელობა

კვლევის ფარგლებში, განსაკუთრებით ექსპერტული პანელის გამოკითხვის პირველმა რაუნდმა ცხადყო, რომ მიუხედავად კითხვარის გამოცდისა და ასევე ექსპერტული პანელების წევრებისთვის საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებისა, ყველა კატეგორიის ექსპერტს, მათ შორის სპეციალისტებს უჭირდათ სასწავლო დანაკარგზე რეფლექსური მსჯელობა და მათი მხრიდან მსჯელობა დიდწილად კონცენტრირებული იყო დისტანციური სწავლების პრობლემებზე და გამონაკვეთებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტული პანელის წევრებთან ანკეტირების პროცესი ჩავანაცვლეთ ფოკუს ჯგუფების და პირისპირ ინტერვიუებით. ექსპერტული პანელის ყველა წევრი ასევე მიიღებს რეკომენდაციების ჩარჩოს პრიორიტეტიზაციისთვის.

შეზღუდვების გათვალისწინებით, კვლევის შედეგების ვალიდობის გაზრდის მიზნით, გამოვიყენეთ ტრიანგულაციის მეთოდი და კვლევის ფარგლებში 100 რესპონდენტიდან მიღებული 65 ანკეტის მონაცემი დამუშავდა თვისებრივად, სამაგიდო კვლევისა და შემდეგ ფოკუს ჯგუფის/პირისპირ ინტერვიუების შედეგებთან კომბინირებულად.

გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის მომზადების ძირითადი მიზანია ქმედითი და პრაქტიკული რეკომენდაციების მომზადება, კვლევის პირველადი შედეგების გაანალიზების შემდგომ ძირითად მიგნებებთან მიმართებით მიმდინარეობდა საჯარო დისკუსიები მიმართულებების ექსპერტებთან, აღნიშნული ფორმატის საშუალებით მიღებული უკუკავშირი ასევე ასახულია ნაშრომის შედეგების ანალიზში.

სასწავლო დანაკარგების ანალიზი პანდემიის პირობებში - ძირითადი მიზნების აღწერა

კვლევის ფარგლებში სასწავლო დანაკარგების აღწერა მოიცავს პერიოდს 2020 წლის მარტიდან 2021 წლის აპრილამდე.

საქართველოში COVID19-ის პირველი შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა, რის საფუძველზეც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, საგამაფხულო არდადეგების შემდეგ (8 მარტიდან), სასწავლო პროცესი შეჩერდა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ (შემდგომში - სამინისტრო) 2020 წლის 1 აპრილს დაიწყო დისტანციური სწავლება. დაწესებულებების და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, 2020-2021 სასწავლო წელი ქვეყნის მასშტაბით 15 სექტემბერს განახლდა. შემოდგომის სემესტრის განმავლობაში სწავლება სრულად დისტანციურად წარიმართა მხოლოდ აჭარის რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რაც 253 სკოლასა და 61273 მოსწავლეს შეეხო (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020).

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები თანხმდებიან, რომ პანდემიის პირობებში სწავლის შეწყვეტამ და დისტანციურმა სწავლებამ გამოიწვია დიდი სასწავლო დანაკარგი. გამონაკლის შემთხვევებში, ზოგიერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ სასწავლო დანაკარგი შესაძლოა არც ისე დიდი იყოს, ვინაიდან, სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებს ისედაც ჰქონდათ ჩამორჩენა და სწავლების ფორმატი ამ უკანასკნელზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ იქონიებდა.

მიუხედავად იმისა, რომ დანაკარგების არსებობის ფაქტი მეტ-ნაკლებად გაზიარებულია, რესპონდენტებს უჭირთ იმის აღწერა, თუ რაში გამოიხატებოდა სასწავლო დანაკარგი საკუთარ ან სხვების პრაქტიკაზე დაკვირვებით. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მასწავლებლები და სკოლის დირექტორები დანაკარგზე მსჯელობისას, ძირითადად, მხოლოდ სასწავლო დროის შემცირებაზე და პროგრამული მასალის არასრულად სწავლებაზე ამახვილებენ ყურადღებას.

იმავე რესპონდენტების დიდ ნაწილს უჭირს ძირითადი დანაკარგის აღწერა, თუ როგორ შეიცვალა მოსწავლეების აკადემიური პროგრესი, მიღწევები და მოტივაცია, სასწავლო დროის შემცირებისა და სხვა მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით. ამასთან, სასწავლო დანაკარგზე საუბრისას, რესპონდენტების დიდი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ დისტანციური სწავლების პირველ ეტაპზე (2020 წლის მარტი-ივნისი) და 2020-2021 სასწავლო წელს არ აღიქვამს დანაკარგების და ჩამორჩენის გაღრმავების ან ახალი დანაკარგების გაჩენის რისკის შემცველად.

სასწავლო დანაკარგების აღქმის თვალსაზრისით, ასევე საგულისხმოა რესპონდენტების დამოკიდებულება დანაკარგზე პასუხისმგებლობის განაწილების კუთხით. მათი ნაწილი სასწავლო დანაკარგის არსებობას ხსნის მხოლოდ მოსწავლეზე დამოკიდებული მიზეზებით (მოსწავლეს არ სურს სწავლა, არ ეხმარებიან სახლში და სხვა) და ნაკლებად სკოლასა და სწავლებასთან დაკავშირებული ფაქტორებით.

მომდევნო თავებში აღწერილია საქართველოში, პანდემიის პირობებში, სწავლის შეწყვეტისა და დისტანციური სწავლების შედეგად წარმოქმნილი სასწავლო დანაკარგები 3 ძირითადი განზომილების მიხედვით. კვლევის მეთოდოლოგიისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, დანაკარგების აღწერა და ანალიზი ემყარება კვლევაში მონაწილე რესპონდენტების მოსაზრებებსა და შეფასებებს და არ იძლევა სრულ პოპულაციაზე დასკვნების გავრცელების შესაძლებლობას.

2.1 სასწავლო დროის შეზღუდვა

კვლევის მიზნებისთვის, სასწავლო დროის შემცირებაში იგულისხმება აკადემიური კალენდრის ცვლილება, სასწავლო დღეების შემცირება ან/და მოსწავლისა და მასწავლებლის საკონტაქტო საათების შემცირება დისტანციური სწავლების პერიოდში.

2019-2020 წლის აკადემიური კალენდრის შესაბამისად, გაზაფხულის სემესტრი სკოლებში 98 სასწავლო დღისგან შედგებოდა, თუმცა პანდემიის შედეგად, აღნიშნული 98 დღიდან, სასწავლო პროცესი სრულად შეწყვეტილი იყო 17 დღე (3 კვირა)¹, ხოლო დანარჩენი 81 დღე სწავლება წარმართა დისტანციურ რეჟიმში (10 კვირა). აღნიშნული შეზღუდვები 2081 საჯარო და 221 კერძო სკოლის 579 995 მოსწავლეს შეეხო.

2020-2021 აკადემიური კალენდრის შესაბამისად, I სემესტრი შედგება 74 სასწავლო დღისგან (20 კვირა). სემესტრი დაიწყო და დასრულდა კალენდრის შესაბამისად. არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, დისტანციური სწავლება ყველაზე დიდხანს აჭარის რეგიონში გაგრძელდა, სადაც 2020 წლის განმავლობაში ყველა საფეხურის მოსწავლე დაახლოებით 25 კვირის განმავლობაში იყო ჩართული დისტანციურ სწავლებაში (რაც 253 სკოლასა და 61,273 მოსწავლეს შეეხო) (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020).

საქართველოს ისეთ დიდ ქალაქებში, როგორებიცაა თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ზუგდიდი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის დისტანციური სწავლება დაახლოებით 20 კვირას, ხოლო დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის 16 კვირას გაგრძელდა. დისტანციური სწავლების ხანგრძლივობა ყველაზე ნაკლები იყო სოფლისა და მცირე ქალაქების სკოლებისათვის, თუმცა, რიგ შემთხვევებში, ცალკეული სკოლები დისტანციურ სწავლებაზე გადადიოდნენ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე. გაზაფხულის სემესტრი, არდადეგების შემდგომ სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობაში პირისპირ, დასწრებით სწავლების ფორმატში გაგრძელდა.

შესაბამისად, 2020-2021 წელს და სასწავლო პროცესი დასრულდა კალენდრის შესაბამისად.

ცხრილი 2: სწავლის შეწყვეტისა და დისტანციური სწავლების ხანგრძლივობა

სწავლის შეწყვეტისა და დისტანციური სწავლების ხანგრძლივობა	რაოდენობრივი მაჩვენებლები					
	სკოლის ჭრილი		მოსწავლის ჭრილი		მასწავლებლის ჭრილი	
	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო
სასწავლო პროცესის სრული შეწყვეტა	2302		579995		65250	
3 კვირა (2019-2020 წლის II სემესტრი)	221	2081	60631	519364	7803	57447
დისტანციური სწავლება	2302		579995		65250	
10 კვირა (2019-2020 წლის II სემესტრი)	221	2081	60631	519364	7803	57447
25 კვირა (2020-2021 წლის I სემესტრი)	253		61273			

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში სასწავლო პროცესი ხანგრძლივი დროით არ შეწყვეტილა, სასწავლო დროის დანაკარგი უფრო მეტად დაკავშირებულია დისტანციურ/ჰიბრიდულ სწავლების პროცესში საკონტაქტო საათების შემცირებასთან. დისტანციური ან შერეული სწავლების ფარგლებში მნიშვნელოვნად შემცირდა მოსწავლეების მიერ სასწავლო პროცესში მონაწილეობის ხანგრძლივობა და ასევე თვითსწავლისთვის დათმობილი დრო.

სინქრონული ელექტრონული სწავლების დროს მოსწავლის საკონტაქტო საათობრივი, რეკომენდებული დატვირთვა მერყეობდა 1-2 საათის ინტერვალში, სასწავლო საფეხურის მიხედვით. აღნიშნულ რეკომენდაციებს სკოლების დიდი ნაწილი უცვლელად მიჰყვებოდა, რაც გულისხმობს

¹ არ მოიპოვებოდა არდადეგების ის პერიოდი (1 კვირა), რომელიც დაგეგმილი იყო სასწავლო აკადემიური კალენდრის მიხედვით

იმას, რომ მაგალითად, პირველ კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში განსაზღვრული კვირაში 7 აკადემიური საათი (სახლში მეცადინეობისთვის დათმობილი დროის გარეშე), აღნიშნული სინქრონული სწავლების პირობებში შემცირდა მაქსიმუმ 2 სთ-მდე. კიდევ უფრო შემცირდა იმ საგნების სასწავლო დრო, რომელსაც კვირაში ეთმობოდა 2 ან 3 აკადემიური საათი. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ონლაინ გაკვეთილებზე დახარჯული დრო შეადგენდა საშუალოდ 2 საათსა და 10 წუთს (საქსტატი, 2021). ამავე კვლევის მიხედვით, ტელესკოლის გაკვეთილების ყურებას მოსწავლეები საშუალოდ 1 საათს უთმობდნენ, რაც, დაახლოებით, სამი 15 წუთიანი გაკვეთილის ტოლფასია.

აღნიშნული მონაცემი არ ითვალისწინებს მოსწავლეების რეალური დასწრების მაჩვენებელს. კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ მოსწავლეთა დასწრება ონლაინ გაკვეთილებზე იყო მინიმალური, რაც, გარდა ტექნიკური პრობლემებისა, მოსწავლეთა დაინტერესების და მონიტორინგის შესაძლებლობის ნაკლებობით იყო განპირობებული.

გაკვეთილების ხანგრძლივობის შემცირება შეეხო პირისპირ სასწავლო პროცესსაც, კერძოდ, სკოლების ნაწილში, გაკვეთილები შემცირდა 30-35 წუთამდე, რაც ასევე მოსწავლეთა მობილობის და ცვლების მართვით იყო განპირობებული. თუმცა, ბევრმა სკოლამ, რომელსაც ასეთი საჭიროება არ ჰქონდა, აღნიშნული წესი უცვლელად დანერგა.

რესპონდენტების შეფასებით, სასწავლო დროის სიმცირის გამო მასწავლებლები ცდილობდნენ, სწრაფად აეხსნათ ახალი მასალა და არ რჩებოდათ დრო უკუკავშირისთვის. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდი პრობლემა შეექმნათ 1-ლი და მე-2 კლასის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ვინაიდან, მცირე დროის დიდი ნაწილი უფრო ხშირად ეთმობოდა მოსწავლეების ორგანიზებას, მათ სასწავლო პროცესში ჩართვას.

მშობლები და მასწავლებლების ნაწილი აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლეებს საგაკვეთილო დროის შემცირებასთან ერთად, შეუმცირდათ თვითსწავლისა და საშინაო დავალებების მომზადებისთვის დათმობილი დროც. ამ მოსაზრებას იზიარებენ მასწავლებლები და აღნიშნავენ, რომ, რიგ შემთხვევაში, მოსწავლეების დიდი ნაწილი არასრულად ან საერთოდ არ ასრულებდა დავალებებს.

საშინაო დავალებაზე დახარჯული დრო 2.7 საათს აღწევდა კვირის განმავლობაში, ხოლო შაბათ-კვირას საშუალოდ 1.8 სთ-ს. (საქსტატი, 2021). მიუხედავად აღნიშნული მონაცემისა, მშობლები და მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ მოსწავლეების შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის არარსებობის პირობებში, მოსალოდნელია, მოსწავლეები სწავლა-სწავლების პროცესში რეალურად უფრო ნაკლები დროით იყვნენ ჩართულები და ასევე ნაკლებ დროს უთმობდნენ დამოუკიდებლად მეცადინეობას.

2.2 სასწავლო დანაკარგები ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით

ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით, სასწავლო აკადემიური დანაკარგები გულისხმობს ჩამორჩენას კურიკულუმით განსაზღვრული საგნობრივი და გამჭოლი კომპეტენციების განვითარების კუთხით. გაზიარებულია მოსაზრება, რომ სასწავლო დანაკარგები იყო ყველა საგნობრივ ჯგუფსა და საფეხურზე, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში სკოლები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან, აღქმული სასწავლო დანაკარგიც არაერთგვაროვანია.

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ დისტანციური სწავლების შედეგად განსაკუთრებით დაზარალდა დაწყებითი საფეხური, ვინაიდან სწავლების ამ ეტაპზე მოსწავლეები ივითარებენ, არა მხოლოდ საბაზისო კომპეტენციებს (წერა, კითხვა, ანგარიში), არამედ ეჩვევიან სასწავლო პროცესს, სწავლობენ კომუნიკაციას და სოციალიზაციას ჯგუფში.

კურიკულუმის ექსპერტები და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ამბობენ, რომ აღნიშნულ კლასებში, მოსწავლეებმა ვერ შეძლეს სრულყოფილად ასოების შესწავლა ქართულსა და ინგლისურში, ასევე რიცხვების ცნობა და მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულება. შედეგად, მე-2 კლასში მოსწავლეთა დიდ ნაწილს არ შეეძლო კითხვა და წაკითხულიდან აზრის გამოტანა, ასევე ანგარიში და გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა. ეს პრობლემები კიდევ უფრო

მწვავედ დგას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც 2020-2021 აკადემიური წლის პირველი სემესტრის განმავლობაში სწავლა კვლავ დისტანციურად მოუწიათ. მე-3 და მე-5 კლასის მოსწავლეებს (რომლებიც 2020-2021 წლის შემოდგომის სემესტრში გადავიდნენ მე-3 და მე-5 კლასში) ჩამორჩენა შესაძლოა ჰქონდათ მეორე უცხო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერების შესწავლის პროცესში (მე-3 კლასი - საგანი „მე და საზოგადოება“, მე-5 - „ჩვენი საქართველო“), ვინაიდან აღნიშნული საგნების სწავლა ონლაინ დაიწყეს, რაც მასწავლებლების შეფასებით საგნის სწავლის მოტივაციას ამცირებს.

დანეებითი საფეხურის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების სასწავლო დანაკარგზე ამხვილებენ ყურადღებას განათლების სპეციალისტები და მიიჩნევენ, რომ 2019-2020 და 2020-2021 წლის მე-6 კლასის მოსწავლეების სასწავლო დანაკარგი შესაძლოა აისახოს საბაზო საფეხურისთვის მათ არასათანადო მზაობასა და აკადემიური მიღწევების გაუარესებაში.

განსხვავებულია რესპონდენტების დამოკიდებულებები საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა სასწავლო დანაკარგების შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, განსხვავებით დანეებითი/საბაზო საფეხურის შესახებ მსჯელობისა, საშუალო საფეხურზე რესპონდენტები სასწავლო დანაკარგების არსებობას ადასტურებენ, თუმცა შედარებით უფრო ნაკლებ გამოწვევად აღიქვამენ.

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ საფეხურზე მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება. მეორე მხრივ, არსებობს მოლოდინი, რომ მოსწავლეების დიდი ნაწილი ჩვეულებრივ პირობებშიც ხშირად არ ესწრებოდა გაკვეთილებს და ეროვნული გამოცდებისთვის მომზადების მიზნით, დანაკლისს აკომპენსირებდა რეპეტიტორთან მომზადებით.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სწავლების საშუალო საფეხურზე დანაკარგი ყველაზე მაღალი შეიძლება იყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, რაც განპირობებულია როგორც ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი მზაობით, ასევე, ონლაინ ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენების შეზღუდული პრაქტიკითა და ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობის ნაკლებობით.

გარდა ამისა, მე-10, მე-12 კლასებში მოქმედებს ძველი კურიკულუმი, რომელიც ორიენტირებულია ერთი კლასის ფარგლებში მისაღწევ შედეგებზე. ამ შემთხვევაში, მასწავლებლები ძირითადად მიჰყვებიან წლიურ პროგრამას, სახელმძღვანელოს და უფრო უჭირთ საკვანძო თემების იდენტიფიცირება და მათი დამუშავება. ისინი, დიდწილად, საუბრობდნენ კონკრეტულ თემებზე, რომელთა სწავლებაც ვერ შეძლეს და გამოტოვეს ან გადაადეს მომდევნო სასწავლო წლისთვის (მაგ: ქართულ ენასა და ლიტერატურაში დ. გურამიშვილის შემოქმედება, ქიმიამი ორგანული ქიმიის ნაწილი და სხვ.).

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტების აზრით, მოცულობის თვალსაზრისით, ყველაზე მეტი სასწავლო დანაკარგი მოდის საბაზო საფეხურზე, რასაც იწვევს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი დატვირთვის საბაზო საფეხურის კურიკულუმზე და პროგრამაზე განაწილება, ასევე ახალი საგნების დამატება. შესაბამისად, ნებისმიერი სახის შეფერხება სწავლებაში მნიშვნელოვნად აისახება მათ აკადემიურ მიღწევებზე. საბაზო საფეხურის ფარგლებში, სასწავლო დანაკარგების თვალსაზრისით, საყურადღებოა მე-9 კლასი, ვინაიდან, მსგავსად საშუალო საფეხურისა, ჯერ-ჯერობით არ არის დანერგილი ახალი სასწავლო გეგმა და მასწავლებლები ძველი კურიკულუმით და პროგრამებით განაგრძობენ მუშაობას. აღნიშნული კი ზრდის რისკს, რომ საფეხურის ფარგლებში შესასწავლი ცნებების განმტკიცება ან ჩამორჩენის აღმოფხვრა საფეხურის დამამთავრებელ კლასში ვერ განხორციელდება. საბაზო საფეხურზე არსებულ გამოწვევებს ასევე ადასტურებს ადგილობრივი და საერთაშორისო შეფასებები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსალოდნელია სასწავლო დანაკარგები სწავლების ყველა საფეხურზე და ყველა საგნობრივ ჯგუფში. თუმცა, კვლევის ფარგლებში გამოკითხული მასწავლებლების, განათლების სპეციალისტებისა და დირექტორების შეფასებით, ყველაზე მეტი სასწავლო დანაკარგი მოსალოდნელია მათემატიკაში. რაც განპირობებულია, როგორც საგნის სპეციფიკის, ასევე მასწავლებლების სწავლების მეთოდოლოგიისა და სწავლა-სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი ეფექტიანობით.

რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათემატიკის და ზოგადად, ტექნიკური საგნების მასწავლებლებს ყველაზე მეტად გაუჭირდათ ციფრულ ტექნოლოგიებთან მუშაობა და ონლაინ

სწავლება. მათემატიკაში სახელმწიფო შეფასების მიხედვით, როცა მოსწავლე იყენებს ტექნოლოგიებს ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზისთვის, მისი მიღწევები იზრდება, თუმცა, მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, უფრო ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ შედეგებზე ვიდრე - პოზიტიურს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, ამ დისციპლინაში ციფრულ ტექნოლოგიების არასათანადოდ ინტეგრირებასა და გამოყენებაზე სწავლა-სწავლების პროცესში.

მათემატიკის მასწავლებლები და კურიკულუმის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები რიგ შემთხვევებში მოსწავლეებს ასწავლიან არა საბაზისო, არამედ „მძიმე ტექნიკებს“ (რთული ალგებრული გამოსახულებები), რაც დისტანციური სწავლების პროცესში დამაბიანებელი მიდგომად მიიჩნევა, რადგან სიტუაციიდან გამომდინარე, მოსწავლეებს შედარებით მარტივად დასაძლავი საკითხების საფუძვლიანად და გააზრებულად შესწავლაც უჭირთ.

მათემატიკის მასწავლებლებისა და ექსპერტების შეფასებით, მათემატიკაში დანაკარგი უფრო მოსალოდნელია ალგებრის ნაწილში დასამუშავებელი ცნებების შესწავლის მიმართულებით, რაზეც მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო შეფასების მიხედვით, მოსწავლეების მიღწევები ამ ნაწილში საშუალოდ უფრო დაბალია, ვიდრე სხვა მიმართულებებში.

მათემატიკაში ჩამორჩენას მნიშვნელოვან გამომწვევად თვლიან არა მხოლოდ მათემატიკის მასწავლებლები, არამედ საბუნებისმეტყველო საგნების სპეციალისტებიც, ვინაიდან, მათემატიკის საბაზისო კომპეტენციების ფლობა წარმოადგენს მოსწავლისათვის აუცილებელ წინაპირობას საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისთვის. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები დისკუსიების დროს ხშირად აღნიშნავენ, რომ დისტანციური სწავლების პირობებში, მოსწავლეები ვერ ავლენდნენ რაოდენობრივი წიგნიერების მინიმალურ კომპეტენციებს და ხშირად გაკვეთილები ეთმობოდა არა უშუალოდ საგნობრივი ამოცანების შესწავლას, არამედ მოსწავლეებისთვის მარტივი ალგებრული გამოსახულებების ახსნას.

მათემატიკის მასწავლებლები და კურიკულუმის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მიუხედავად სასწავლო დანაკარგისა, კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათემატიკაში, სხვა საგნებთან შედარებით, მარტივია კლასის დონეზე პრობლემური ცნებების იდენტიფიცირება და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მათზე კომპლექსური მუშაობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილი, სწავლების ყველა საფეხურის ფარგლებში, საგნობრივ კომპეტენციებში ჩამორჩენასთან ერთად პრობლემად აღიქვამს მოსწავლეების გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაში ჩამორჩენას. თუმცა, შეინიშნება ტენდენცია, რომ ცალკეულ გამჭოლ კომპეტენციებს მასწავლებლები საგნის სწავლებას უკავშირებენ, ხოლო კომპეტენციების ნაწილს აღიქვამენ როგორც მოსწავლის ატრიბუტს, რომელიც სასწავლო პროცესის მიღმა, დამოუკიდებლად არის/არ არის განვითარებული. მაგალითად, საგნის სწავლებასთან მიმართებით განიხილება წიგნიერების, კვლევის, კრიტიკული აზროვნების კომპეტენციები, მაშინ, როცა თანამშრომლობის, კომუნიკაციის, სწავლის უნარებს, რიგ შემთხვევაში, მასწავლებლები მოსწავლის სურვილებს და მოტივაციას უკავშირებენ.


სასწავლო დანაკარგების და მოსწავლეთა შეფასების ურთიერთმიმართება

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო დანაკარგების არსებობა ყველა საგანში და საფეხურზე შეინიშნება, აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურად ან პოზიტიურად არ ასახულა მოსწავლეთა შეფასებაზე.

მოსწავლის მიმდინარე და საბოლოო შეფასების შესახებ რეკომენდაციები სკოლებმა საკმაოდ გვიან, სასწავლო წლის ბოლოს მიიღეს. რესპონდენტების უმრავლესობის შეფასებით, ამ პერიოდში მასწავლებლები მოსწავლეებს ფაქტობრივად არ აფასებდნენ ან აფასებდნენ პირველი სემესტრის შედეგებზე დაყრდნობით.

ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19 ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევის (MICS Plus) 1-ლი ტალის კვლევის მიხედვით, რესპონდენტების 54% აღნიშნავს, რომ მოსწავლეების შეფასება მეტ-ნაკლებად არ შეცვლილა გასულ წელთან შედარებით, ხოლო 22% აღნიშნავს, რომ შეფასება გაუარესდა.


სქემა 4. მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც შეწყვიტეს სწავლა, საქსტატი, 2021



მონაცემებს მასწავლებლები და სპეციალისტები ხსნიან იმით, რომ შეფასების ობიექტური სისტემის არარსებობის პირობებში, საშუალო მოსწავლეთა მოსწავლეების შეფასებები გაუარესდა, ხოლო დაბალი მოსწავლეთა მოსწავლეების შედეგები არ შეცვლილა ან ცალკეულ შემთხვევებში მცირედით გაუმჯობესდა. მასწავლებლები, საკუთარი და კოლეგების პრაქტიკიდან, იხსენებენ შემთხვევებს, როცა **სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შენარჩუნების მიზნით, მოსწავლეთა მოტივაციისთვის ამარტივებდნენ შემაჯამებელ დავალებას და სასწავლო პროგრამის ვერ დაძლევის მიუხედავად, მინიმალურ 5 ქულას უწერდნენ ყველა მოსწავლეს.**

ყოველივე ზემოთქმულით შეიძლება იყოს განპირობებული განათლების მიღების მაჩვენებლების ზრდა და სწავლისთვის თავის დაწების შემთხვევების შემცირება.

სქემა 5. დანყებითი, საბაზო და საშუალო განათლების მიღების მაჩვენებლები, საქსტატი, 2021



მოსწავლეების მხრიდან სწავლის შეწყვეტის დინამიკა აჩვენებს, რომ 2019-2020 წლის სემესტრში, მე-10 კლასიდან მოსწავლეების მიერ სწავლისთვის თავის დაწების მაჩვენებელი გასული წლის მონაცემებთან შედარებით ნაკლებია. ექსპერტების შეფასებით, ეს ფაქტი არ უნდა იქნას აღქმული აპრიორი მოსწავლეების მიღწევების გაუმჯობესებად, არამედ, შესაძლებელია, აღნიშნული გამოწვეული იყოს მასწავლებლების მიერ შეფასების მიდგომის ცვლილებით, რაც, სწავლების ნორმალურ პირობებში გაგრძელების შემდგომ, შესაძლოა საპირისპირო ტენდენციით შეიცვალოს. ზოგიერთი ექსპერტი კი ვარაუდობს, რომ მიმდინარე და მომდევნო წელს მოსწავლეების მიერ სკოლის მითხოვების მაჩვენებელი 2018/2019 წლების მონაცემებთან შედარებით, შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს, განსაკუთრებით ამერიკაიჯანული სექტორის მოსწავლეებში, რომელთა შორისაც სწავლისთვის თავის დაწების მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია.

2.3 მოსწავლეთა მოტივაციის უზრუნველყოფა

კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტები იზიარებენ მოსაზრებას, რომ მოსწავლეთა მოტივაცია დისტანციური/ჰიბრიდული სწავლების დროს შემცირდა. სწავლის მოტივაციის შემცირება რესპონდენტების შეფასებით ძირითადად უკავშირდება: თანატოლებთან კომუნიკაციის შემცირებას, სასწავლო პროცესის ხშირი ცვლილებითა და დაბალი ხარისხის ტექნიკის/ინტერნეტის გამოყენებით გამოწვეულ სტრესს. ასევე, მოტივაციასთან მიმართებით აუცილებელია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება. გარდატეხის ასაკში მოზარდები განსაკუთრებით საჭიროებენ ემოციურ, სოციალურ მხარდაჭერას, თვითგამორკვევას და თვითდამკვიდრებას სოციალურ გარემოში. ყოველივე ეს კი, ონლაინ და შერეული სწავლების ფარგლებში, კიდევ უფრო რთულად სამართავი აღმოჩნდა მასწავლებლების, მშობლებისა და თავად მოზარდებისთვის. მოსწავლეთა მოტივაცია სასწავლო დანაკარგების გაღრმავების შედეგიც არის და გამომწვევი ფაქტორიც, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის მოსწავლეთა მზაობის გაზრდისა და მამოტივირებელი გარემოს შექმნისთვის სასკოლო საზოგადოებისა და პროფესიონალი ფსიქოლოგების ერთობლივ მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების შეფასებით, მოსწავლეების მოტივაცია დისტანციური სწავლების სანყის ეტაპზე, იყო უფრო მაღალი, ვინაიდან მათთვის ამ ტიპის სწავლება იყო სიახლე და ცნობისმოყვარეობით ეკიდებოდნენ ახალ გამოწვევას. თუმცა, დროთა განმავლობაში, დისტანციური/ჰიბრიდული სწავლება ახალ რეალობად იქცა და მოტივაციაც შემცირდა.

მოტივაციის შემცირება გამოიხატა 2 ძირითად ასპექტში:

- ▶ მოსწავლეების სკოლისადმი დამოკიდებულების ცვლილება - დემინტეგრაცია
- ▶ მოსწავლეების თვითეფექტურობის და დისციპლინის გაუარესება

სკოლისადმი დამოკიდებულების ცვლილება - დემინტეგრაცია: დისტანციურმა სწავლებამ ნაშალა სხვაობა სკოლასა და სახლს შორის, მოსწავლეებისთვის სკოლის, როგორც ძირითადი საგანმანათლებლო ინსტიტუციის და სოციალიზაციის ადგილის როლი შეერწყა სახლს, რამაც გავლენა იქონია მათ რუტინაზე, სასწავლო პროცესზე და სკოლის მიმართ მათ დამოკიდებულებებზე. ინტერაქციის და სოციალიზაციის დეფიციტი განსაკუთრებით გამოიკვეთა სკოლებსა და რეგიონებში, სადაც სწავლა შეწყვეტილი იყო დიდი ხნის განმავლობაში (აჭარის რეგიონი, თბილისი და სხვა დიდი ქალაქები) და დაწყებით საფეხურზე, როდესაც მოსწავლეები არ იცნობენ ერთმანეთს და ონლაინ გაკვეთილებზე ეგუებიან თანაკლასელებს და მასწავლებლებს.

კვლევაში მონაწილე მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მათი მოსწავლეების დიდი ნაწილი გაკვეთილებს ესწრებოდა გამორთული კამერით, არ მონაწილეობდა სამუშაო პროცესში ან ტოვებდა გაკვეთილს დროზე ადრე. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ცალკეულ შემთხვევებში მოსწავლეების მიერ პროცესში პასიური მონაწილეობა განპირობებული იყო არასათანადო სასწავლო გარემოთი გამოწვეული სტრესით, ვინაიდან რიგ შემთხვევაში, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე და ასევე მრავალშვილიან ოჯახებში მოსწავლეებს არ ჰქონდათ საკუთარი სივრცე და დამოუკიდებლად, მუშაობის ან/და გაკვეთილში მონაწილეობის საშუალება.

მასწავლებლების შეფასებით, გაკვეთილების გაცდენის ან პასიური მონაწილეობის ტენდენცია გაგრძელდა სწავლა-სწავლების პროცესის საკლასო ოთახებში აღდგენის შემდგომაც. რომ ზოგიერთი მასწავლებლის შეფასებით, სასწავლო პროცესის აღდგენის შემდეგ, ბევრი დაუბრუნდა სწავლების ტრადიციულ სტილს. ცალკეულ შემთხვევებში ამ ფაქტმა გააღრმავა მოსწავლეთა ფრუსტრაცია, ვინაიდან რესურსების გამოყენების თვალსაზრისით, ზოგჯერ დისტანციური სწავლება პირისპირ სწავლებაზე მრავალფეროვანი იყო.

თვითეფექტურობა და დისციპლინა: საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა არასრულფასოვანმა ჩართულობამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მათ რუტინაზე და დისციპლინაზე. მასწავლებლები და მშობლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებს უჭირთ ადრინდელ რეჟიმში დაბრუნება, კონცენტრაცია, ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან კლასში თუ სახლში მუშაობას. იმ მასწავლებლების მოსაზრებით, რომლებიც აქტიურად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, მოსწავლეებს უჭირთ დავალების შესრულება, ასევე ჯგუფში მუშაობა და საქმის დანაწილება. მასწავლებლები იზიარებენ მოსაზრებას, რომ მოსწავლეები ნაკლებად ცდილობენ დამოუკიდებლად გადაჭრან პრობლემები

(განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მათემატიკაში) და მზა პასუხებს ეძებენ ონ-ლაინ წყაროებში. აღნიშნულის გათვალისწინებით სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მოსწავლეებისათვის აუცილებელია სწავლის პროცესის სტაბილურობა და განსაკუთრებით კი, პირისპირ სწავლების აღდგენა უწყვეტ რეჟიმში.

როგორც აღვნიშნეთ, სასწავლო დანაკარგების სამივე განზომილება: სასწავლო დროის შემცირება, მოტივაციის დაქვეითება და ესგ-ის მიზნებთან ჩამორჩენა განსხვავდება სკოლებისა და მოსწავლეების დონეზე. ამასთან, საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ნებისმიერი ტიპის სასწავლო დანაკარგი უთანასწოროდ ნაწილდება მოსწავლეების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, მშობლების დახმარების, რესურსისა და ეთნიკური კუთვნილების მიხედვით. დანაკარგები ჩნდება სწავლების პროცესის სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, თუმცა თუ სწავლის პროცესი მიმდინარეობს დისტანციურად, დანაკარგის მოცულობაც და განაწილებაც დამოკიდებულია როგორც დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობაზე, ასევე ხარისხზე.

მომდევნო ქვეთავში წარმოდგენილია საქართველოში დისტანციური სასწავლო პროცესის ხარისხზე და ხელმისაწვდომობაზე მოქმედი ფაქტორები და მათი ანალიზი სასწავლო დანაკარგების კონტექსტში.

დისტანციური სწავლების ხარისხი და ხელისაწყოების მოქმედი ფაქტორების ანალიზი სასწავლო დანაკარგებთან მიმართებით

Covid19-ით გამოწვეული შეზღუდვების დაწესებისა და სკოლებში სწავლის შეწყვეტის შემდგომ, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უმოკლეს ვადაში უზრუნველყო საჯარო სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის შესაბამისი ანგარიშების შექმნა და ვირტუალური საკლასო ოთახების მონყოლა MS Teams პლატფორმაზე, საჯარო სკოლების ყველა კლასისათვის კონკრეტულად, შეიქმნა Microsoft Office 365-ის მომხმარებლის პროფილი 528 327 მოსწავლისა და 52 124 მასწავლებლისათვის. თუმცა, პლატფორმის გამოყენების ინსტრუქციები არ იყო ხელმისაწვდომი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, რამაც დამატებითი სირთულეები შეუქმნა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს (Tabatadze & Chachkhiani, 2021). გარდა დასახელებული პლატფორმისა, მასწავლებლები ონლაინ სწავლების პროცესში იყენებდნენ კომუნიკაციის უფრო ტრადიციულ საშუალებებს მაგ. მესენჯერს (Tabatadze & Chachkhiani, 2021), რაც დაბალი ხარისხის ინტერნეტისა და დაბალი შესაძლებლობების მქონე ტექნიკური საშუალებებით, ასევე ენობრივი ბარიერით იყო განპირობებული.

პარალელურად, სამინისტროსა და საქართველოს პირველი არხის თანამშრომლობით, 2020 წლის 30 მარტიდან დაიწყო საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა“, რომლის ფარგლებში საქართველოს სატელევიზიო სივრცეში შეიქმნა ახალი არხი - „პირველი არხი განათლება“. პროექტი ითვალისწინებდა სკოლის მოსწავლეებისთვის 15 წუთიანი ტელეგაკვეთილების ჩატარებას ყველა საგანში, სპორტისა და უცხო ენების გარდა. პროექტის ფარგლებში შემუშავდა შემოქმედებითი და განმავითარებელი აქტივობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის (სსსმ). ყველა გაკვეთილი უზრუნველყოფილი იყო ვესტური ენის თარგმანით. განისაზღვრა ცალკე საეთერო ბადე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე). ტელესკოლამ სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე ტრანსლირება დაიწყო 13 აპრილიდან, შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობებისთვის აღნიშნული რესურსი 2 კვირის დაგვიანებით გახდა ხელმისაწვდომი.

2020 წლის 9 სექტემბერს ძალაში შევიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N95/ნ ბრძანება „**საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ**“. აღნიშნული წესის მიხედვით, რესურსცენტრთან შეთანხმების საფუძველზე, როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებს მიეცათ სწავლების სასურველი ფორმის არჩევის შესაძლებლობა. განისაზღვრა დისტანციური სწავლების განხორციელება შემდეგი მოდელების გამოყენებით:

- ▶ სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში სამინისტროს მიერ რეკომენდებული რომელიმე ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას;
- ▶ სრულად ელექტრონულად, ასინქრონულად, რაც გულისხმობს ტელე/ვიდეო გაკვეთილების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლებას;
- ▶ ჰიბრიდულად, რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული, სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას დიფერენცირებული საგნების, კლასებისა და განაყოფების მიხედვით.

სკოლებმა მიიღეს რეკომენდაცია მაქსიმალური ძალისხმევა გაეწიათ I-VI კლასის მოსწავლეთა საკლასო სივრცეში სწავლებისათვის. ასევე, დაევალებათ **დისტანციური სწავლების მონიტორინგი, მოსწავლეთა გაცდენის მიზეზების იდენტიფიცირება და შესაბამისი კომპიუტერული თუ მობილური ტექნიკის, ინტერნეტის არქონით გამოწვეული საგაკვეთილო პროცესის გაცდენის შემთხვევების აღმოფხვრა ან ინდივიდუალური მოსწავლეებისათვის დასწრებითი ფორმით სწავლების უზრუნველყოფა**. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სკოლებს დაევალებათ

სკოლის შენობის ან/და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით დისტანციურ სწავლებაში მასწავლებლის ჩართვის უზრუნველყოფა (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020).

სამინისტროს მოკვლევის მიხედვით (2021), სკოლის ასაკის მოსწავლეთა 96% ამბობს, რომ უტარდებოდა ონლაინ გაკვეთილები. ონლაინ გაკვეთილები არ უტარდებოდა რესპონდენტების 1,5%-ს. ინტერნეტზე ხელმისაწვდომობას აფიქსირებდა სოფლის სკოლის მოსწავლეების 1.7%, როცა ეს მაჩვენებელი ქალაქისთვის 0.4%-ს შეადგენდა. ტელესკოლის გაკვეთილების გამოყენების მაჩვენებლები განსხვავებულია სხვადასხვა არაპოპულაციური კვლევის მიხედვით, თუმცა, შეინიშნება ტენდენცია, რომ მასწავლებლები უფრო ხშირად უყურებდნენ/იყენებდნენ ტელესკოლის რესურსს, ვიდრე მოსწავლეები. სამინისტროს ინფორმაციით, ტელესკოლის გაკვეთილებს მოსწავლეთა 21% უყურებდა, ხოლო მასწავლებელთა 67% რაიმე ფორმით იყენებდა მათ სწავლების პროცესში (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020). სატელევიზიო გაკვეთილებზე, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად მოსწავლეები ხარჯავდნენ საშუალოდ ერთ საათს.

რთული აღმოჩნდა სსსმ მოსწავლეების ჩართვა ონლაინ სასწავლო პროცესში. მშობლები და მასწავლებლები სწავლის პროცესში ყველაზე დიდ გამოწვევად ქცევის მართვას ასახელებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ინკლუზიური ონლაინ სწავლება ფაქტობრივად არ განხორციელებულა. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ სპეციალისტები ჯგუფური დისკუსიის და პირისპირ ინტერვიუს დროს. მიუხედავად იმისა, რომ სსსმ მოსწავლეების დიდმა ნაწილმა შემოდგომის სემესტრი სკოლაში, პირისპირ სწავლების რეჟიმში გააგრძელა, მასწავლებლების შეფასებით, მათი რესოციალიზაცია და სასწავლო პროცესში ხელახალი ჩართვა მაინც ვერ მოხერხდა, სწავლების ცვლადი რეჟიმისა და ოჯახების გართულებული ეკონომიკური და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გამო.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, დისტანციური სწავლების პროცესით კმაყოფილება განსხვავებულია იმ გამოცდილების მიხედვით, რომელიც ჰქონდათ სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებს. სამინისტროს კვლევის შედეგების მიხედვით, 28% გამოკითხული რესპონდენტებისა მიიჩნევს, რომ გაზაფხულის სემესტრი შეიძლება აკადემიურად ჩაითვალოს, ხოლო საქსტატის კვლევის შედეგების მიხედვით, საერთო ჯამში დისტანციური სწავლების პროცესით ძალიან კმაყოფილი იყო გამოკითხული რესპონდენტების 5%, ხოლო მეტ-ნაკლებად კმაყოფილი 43% (საქსტატი, 2021).

კვლევის რესპონდენტების შეფასებით, სწავლის შეწყვეტის შემდგომ, სამინისტროს მიერ ონლაინ პლატფორმის ადაპტირებამ და ტელესკოლის, როგორც დამხმარე რესურსის შექმნამ, უზრუნველყო სასწავლო პროცესის უწყვეტობა, თუმცა, განსხვავებულია მოსაზრებები, ერთი მხრივ, სწავლების ხარისხსა და ასევე სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობაზე.

მომდევნო ქვეთავი აღწერს დისტანციური სწავლების კონტექსტს, იმ ფაქტორებსა და გარემოებებს, რომელმაც გავლენა იქონია როგორც დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობაზე, ასევე სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხზე.

საქართველოს კონტექსტში დისტანციური სწავლების ხარისხზე და ხელმისაწვდომობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებია:

- ▶ ტექნიკაზე და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა;
- ▶ მასწავლებლების კომპეტენციები და;
- ▶ დისტანციური სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა და შეფასება სისტემისა და სკოლის დონეზე;
- ▶ მშობლების მხარდაჭერა სახლში;
- ▶ მოსწავლეების ციფრული კომპეტენციები.

სასწავლო დანაკარგების მიმართ თითოეული ფაქტორის ანალიზი ეფუძნება ინტერვიუებისა და ჯგუფური დისკუსიების შედეგებს.

3.1 ტექნიკასა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა

2020 წლის მარტში ინტერნეტთან, კომპიუტერულ ტექნიკასთან და ციფრულ რესურსებთან წვდომა საკმაოდ დაბალი იყო, რაც უარყოფითად აისახა სწავლების ხარისხზე, მოსწავლეების ნაწილი კი სასწავლო პროცესის მიღმა დარჩა.

2020 წლის მარტში მოსწავლეთა 12%-ს (63,272 მოსწავლე) სახლიდან არ ჰქონდა ინტერნეტზე წვდომა, ხოლო 14%-ს არ ჰქონდა კომპიუტერული მონაცემილობა. მთლიანობაში, ორი ურთიერთგადამფარავი ჯგუფიდან, მოსწავლეთა 88%-ს წვდომა ჰქონდა ფიქსირებულ ინტერნეტზე, ხოლო 53%-ს მობილურ ინტერნეტზე (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020).

UNICEF-ის მონაცემებზე დაყრდნობით, ხელმისაწვდომობა განსხვავდებოდა საცხოვრებელი ადგილის, სოციალური სტატუსის მიხედვით. სოფელში მცხოვრები მოსწავლეების 75%-ს შეეძლო ინტერნეტით სარგებლობა, მაშინ როდესაც ქალაქში ეს მაჩვენებელი 94%-ს უტოლდებოდა. ღარიბი ოჯახებიდან მოსწავლეების მხოლოდ 52% სარგებლობდა ინტერნეტით. ამავე მონაცემების მიხედვით, კიდევ ერთ მონაცვლად ჯგუფს წარმოადგენენ ეთნიკურად ამერბაიჯანელი მოსწავლეები, რომელთა შორის 35%-ს არ აქვს წვდომა ინტერნეტზე (Unicef, 2020), რაც ლოგიკური მაჩვენებელია იმის გათვალისწინებით, რომ ამერბაიჯანელი მოსწავლეები დიდწილად გადანაწილებულნი არიან სოფლის სკოლებში.

არანაკლებ სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ მასწავლებლებიც, ვინაიდან, სკოლების უმრავლესობაში პრაქტიკულად არ არსებობდა ლეპტოპების ან სხვა პორტატიული მონაცემილობების მარაგი, (ჭანიშვილი, 2020) სამინისტროს მოკვლევის მიხედვით, მასწავლებლების 63%-ს ჰქონდა მუდმივი ხელმისაწვდომობა ინტერნეტთან დაკავშირებულ პორტატიულ კომპიუტერთან, ხოლო 56%-ს ინტერნეტთან დაკავშირებულ პერსონალურ კომპიუტერთან. ფოკუს ჯგუფების წევრები აღნიშნავენ, რომ პანდემიის დაწყებამდე მასწავლებლების დიდი ნაწილი იყენებდა სკოლების ან ოჯახის წევრების კუთვნილ კომპიუტერულ ტექნიკას, რომელიც მოძველებული იყო და უჭირდა სხვადასხვა პროგრამის ჩართვა. ცალკე უნდა აღინიშნოს იმ მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოწვევები, რომლებიც მრავალშვილიან ოჯახებში ცხოვრობენ და პანდემიის პირობებშიც უწევდათ, როგორც ტექნიკური რესურსის ასევე ინტერნეტის გაზიარება. მიუხედავად ხელმისაწვდომობის მოცემული მაჩვენებლისა, ფოკუს ჯგუფების წევრების განცხადებით, მრავალშვილიან ოჯახებში მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა ლიმიტირებული იყო როგორც დროის, ასევე მონაწილეობის ხარისხის თვალსაზრისით.

მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნაწილი სასწავლო პროცესში ჩასართავად იყენებდა მობილურ ტელეფონს. მოსწავლეთა 40%-ზე მეტი ონლაინ გაკვეთილებში მობილურით მონაწილეობდა, რაც ვერ უზრუნველყოფდა სხვადასხვა ონლაინ პლატფორმების ყველა ფუნქციის სრულყოფილ ათვისებას (ჭანიშვილი, 2020). მობილური ინტერნეტის შეზღუდულად ფლობის პირობებში კი მოსწავლეები და მასწავლებლები ცდილობდნენ ინტერნეტი მხოლოდ ინფორმაციის გაზიარების, დავალების მიღების ან გაგზავნის მიზნით გამოეყენებინათ.

ტექნიკასა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის საკითხი გამოწვევად დარჩა ახალი 2020-2021 სასწავლო წლისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ სკოლებმა დისტანციური სწავლების დაწყებისთანავე მიიღეს დავალება, აღერიცხათ მოსწავლეებისა და მასწავლებლების ხელმისაწვდომობა ტექნიკასა და ინტერნეტზე, მყისიერი და მიზნობრივი პროგრამები სახელმწიფოს მხრიდან არ ამოქმედებულა, რაც სადავოს ხდის სამინისტროს მიერ განმეორებითი შეფასების შედეგებს. **კერძოდ, 2021 წლის ნოემბერში, ონლაინ სწავლებაში ჩართული მოსწავლეების 94% და მასწავლებლების 97% ინტერნეტისა და კომპიუტერის ხელმისაწვდომობის პრობლემა არ ჰქონდათ.**

საგულისხმოა, რომ აღნიშნული მონაცემები აღწერს ხელმისაწვდომობას ყველა ტიპის/ხარისხის ტექნიკაზე, რაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მოსწავლე ხელმისაწვდომი საშუალებებით უწყვეტად და სრულყოფილად ახერხებდა სასწავლო პროცესში მონაწილეობას. რესპონდენტები ასევე, დაგვიანებულად მიიჩნევენ ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდის ინიციატივას. კერძოდ, სამინისტრომ 2021 წლის თებერვალში, საქართველოში მოქმედ მობილურ ოპერატორთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს 2020-2021 სასწავლო წლის ბოლომდე შეღავათიანი მობილური ინ-

ტერნეტ პაკეტით სარგებლობა შესთავაზა. 2021 წლის თებერვლამდე კი მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, დიდწილად, დამატებითი ხარჯის გაღება ინტერნეტის პაკეტის შესაძენად თავად უნევდათ.

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში დისტანციური სწავლების ძირითადი ფორმა/ფორმები მოითხოვენ ინტერნეტისა და ტექნიკის გამოყენებას, მოსწავლეები ღარიბი ოჯახებიდან, განსაკუთრებით მრავალშვილიანი ოჯახებიდან, ასევე ეთნიკური უმცირესობებიდან სასწავლო დანაკარგების თვალსაზრისით ყველაზე დიდ რისკ ჯგუფებს წარმოადგენენ.

3.2 სასწავლო პროცესის ორგანიზება

დისტანციური სწავლების ყველა შემოთავაზებული მოდული ერთი მხრივ მოიცავდა ონლაინ ელემენტს და ასევე ზღუდავდა ონლაინ სწავლების შემთხვევაში საკონტაქტო საათების რაოდენობას. ეროვნულ სასწავლო გეგმაში საათობრივი ბადისა და მოსწავლეთა შეფასების მიმართულებით განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, 2020 წლის 30 მარტიდან, დისტანციური სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, სკოლა თავად განსაზღვრავდა დროებით საათობრივ ბადეს ისე, რომ ითვალისწინებდა სასწავლო წლის დასაწყისისთვის დამტკიცებულ ყველა საგანს. სინქრონული ელექტრონული სწავლების შემთხვევაში, კერძოდ: რეკომენდებული იყო დღეში არაუმეტეს 3 გაკვეთილის ჩატარება, I-IV კლასებში თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა 15-20 წუთით უნდა განსაზღვრულიყო; V-IX კლასებში 25-30 წუთი და X-XII კლასებში 35-40 წუთი. აღნიშნული რეკომენდაციები, ისევე როგორც სამინისტროს მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტები არ იძლეოდა კონკრეტულ მითითებას/ინსტრუმენტს სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, მოსწავლეთა ჩართულობის, პროცესის მონიტორინგის შესახებ, მათ შორის არც ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის, ამასთან არ განხორციელებულა მიზნობრივი შეფასება ან მოკვლევა დიდი ზომის სკოლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ვინაიდან ეს უკანასკნელები ყველაზე მეტ დაბრკოლებას აწყდებოდნენ სწავლა-სწავლების პროცესის ონლაინ და პირისპირ წარმართვის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო პრაქტიკა მკაფიოდ აჩვენებს სასწავლო პროცესის შენარჩუნების მნიშვნელობას (თუნდაც რამდენიმე კვირის შემთხვევაში), სპეციალისტების ნაწილის შეფასებით, დისტანციურ სასწავლო პროცესზე გადასვლის პროცესში ნაკლებად იყო გათვალისწინებული პატარა და საშუალო სკოლების საჭიროებები. 2021 წლის შემოდგომის სემესტრში შეზღუდვები შეეხო აჭარის რეგიონის და დიდი ქალაქების სკოლებს, ზომის მიუხედავად, მაშინ როცა შესაძლებელი იყო ხსენებული სკოლების ნაწილში სასწავლო პროცესის რამდენიმე კვირით გახანგრძლივება.

სპეციალისტების შეფასებით, განათლების სისტემა ცენტრალიზებული და სკოლის დონეზე პროცესის შენარჩუნებაზე იყო ორიენტირებული. იქმნებოდა არასწორი შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული ძალისხმევა საკმარისი იყო სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის, მაშინ, როცა საჯარო სკოლებს ფაქტობრივად არ გააჩნიათ ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც დაეფუძნებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს დასახული მიზნების შესაბამისად სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვასა და შეფასებას.

სასწავლო პროცესის მართვისა და მონიტორინგის პროცესს აფერხებდა სკოლის დონეზე მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ლიმიტირებული პრაქტიკაც. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 2015 წლიდან საჯარო სკოლებში დაიწყო ზოგადი განათლების მართვის ინფორმაციული სისტემის (eSchool) და ელექტრონული ჟურნალის (eJournal) დანერგვა, სკოლების დიდ ნაწილს მაინც საკმაოდ შეზღუდული გამოცდილება გააჩნდა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით. eSchool-ში არ ხდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციების ასახვა, როგორცაა მოსწავლეთა მოსწრება თუ სკოლის ინფრასტრუქტურული საჭიროებები (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2019). 2018 წლისათვის ელ-ჟურნალს მხოლოდ 335 საჯარო (16%) სკოლა იყენებდა სატესტო რეჟიმში (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2019). სკოლის და სისტემის დონეზე მოსწავლეთა შესახებ ლიმიტირებული და არასინქრონიზებული მონაცემების არსებობამ განაპირობა ისიც, რომ სრულყოფილი ინფორმაცია როგორც ინტერნეტისა და ტექნიკის ხელმისაწვდომობაზე, ასევე სასწავლო პროცესში მოსწავლის მონაწილეობაზე, ფაქტობრივად არ არსებობდა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ სკოლის დონეზე სკოლის მენეჯმენტსა და მასწავლებლებს არ შეეძლოთ მოსწავლეების რეალური მიღწევებისა და პროგრესის მონიტორინგი, მეორე მხრივ, სამინისტროს მხრიდან, ამ მიმართულებით, დაგვიანდა კონკრეტული რეკომენდაციების გაცემა და შესაბამისად, 2019-2020 წელს მოსწავლეთა შეფასება, დიდწილად, მოსწავლის წინარე მიღწევებზე დაყრდნობით ან ქულების მომატებით განხორციელდა.

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შეფასება, იშვიათი გამონაკლისების გარდა, სკოლის დონეზე არ განხორციელებულა, რაც სასწავლო დანაკარგების კონტექსტში დამაბიანებელი გარემოებაა, ასევე, ცენტრალურ დონეზე, არ მომზადებულა იმ ტიპის დამხმარე ინსტრუმენტები, რომელიც სკოლებს დაეხმარებოდა ეფექტიანად დაეგეგმათ ახალი სასწავლო წელი და ემუშავათ ხარვეზების აღმოფხვრაზე.

3.3 მასწავლებლის კომპეტენცია

ეფექტიანი დისტანციური სწავლების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორია მასწავლებლების კომპეტენციები რაც გულისხმობს, საჭირო ცოდნისა და უნარების ფლობას უზრუნველყოს სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მოსწავლეთა ჩართულობა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, საკვანძო კომპეტენციების განვითარება დისტანციური სწავლების სხვადასხვა ფორმის ფარგლებში. გამოკითხული რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ყველაზე დაბალი მზობა დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართვისთვის მასწავლებლებს ჰქონდათ და მათ ყველაზე მეტი ძალისხმევა დასჭირდათ პროცესთან ადაპტირებისა და სასწავლო პროცესის გაგრძელებისთვის.

მასწავლებლების კომპეტენციების ზოგად პროფილზე რაოდენობრივი მსჯელობა კომპეტენციის დადასტურებისა და პროფესიული განვითარების აქტივობებში ჩართულობით არის შესაძლებელი. 2017-2019 წლებში გამოცდაზე, საგნობრივი მიმართულებით, მინიმალური შედეგი აჩვენა მასწავლებლების **საშუალოდ 25%-მა**, ხოლო პროფესიული უნარების მიმართულებით – 27%-მა (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2021). მიუხედავად იმისა, რომ გამოცდებისა და სქემის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები არ ასახავს მასწავლებლების რეალურ ეფექტიანობას სწავლა-სწავლების პროცესში, საგულისხმოა, რომ 2019 წელს სისტემაში არსებულ 17,390 (29%) მასწავლებელს, ბოლო 3 წლის განმავლობაში, გადამზადების კურსი არ ჰქონდა გავლილი საგნობრივი, პედაგოგიკის და ზოგადი პროფესიული უნარების მიმართულებით. ამასთან, 2019 წელს ქვეყნის მასშტაბით 50 სკოლას არ ჰყავდა ბოლო 3 წლის განმავლობაში არც ერთი გადამზადებული მასწავლებელი. ამ სკოლებიდან 13 სკოლა ქვემო ქართლში, 11 სამცხე ჯავახეთში და 7 აჭარაში მდებარეობს, რაც ირიბად მიანიშნებს იმაზე, რომ, დიდი ალბათობით, დასახელებულ სკოლებში მასწავლებლების უმეტესობა შეიძლება იმ სკოლაში ან სექტორში ასწავლის, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სწავლობენ (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2021). საგულისხმოა რომ, მიუხედავად გამოცდის ფორმატისა და შინაარსის მრავალგზის ცვლილებისა, კომპეტენციები, რომელთა განვითარებასა და დადასტურებაზეა ფოკუსირებული არსებული სისტემა ჯერ კიდევ არ მოიცავს დისტანციური სწავლების ტექნიკური კომპეტენციებისა და პედაგოგიკის შეფასების ასპექტებს.

კვლევის ფარგლებში, ისევე როგორც საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, სასწავლო დანაკარგებთან მიმართებით მასწავლებლებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შემდეგი კომპეტენციების ფლობა:

ციფრული კომპეტენციები: მასწავლებლების უმრავლესობას ონლაინ სწავლებისა და ციფრული რესურსების შექმნისა და გამოყენების პრაქტიკა არ ჰქონდა. დიდი ნაწილისთვის უცხო იყო ონლაინ ლაბორატორიები, სინქრონული სწავლების პლატფორმები და ყველა ის რესურსი, რაც შემდგომ სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამ მიმართულებით მასწავლებელთა საჭიროებებზე მიანიშნებს როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო შეფასებები. მაგალითად, TIMSS 2019 წლის მონაცემების მიხედვით, გამოკითხულ პედაგოგთა 75-80% ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებზე კვალიფიკაციის ამაღლების სურვილს გამოხატავდა (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2020). მცირედი უპირატესობა კომპიუტერისა და ციფრულ რესურსების გამოყენების თვალსაზრისით შეიძლება ჰქონდეთ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს, ვინაიდან, პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში, ყველა

პირველკლასელ მოსწავლეს გადაეცემა პერსონალური ნოუტბუქი - „ბუქი.“ შესაბამისად, ამ საფეხურის მოსწავლეები გარკვეული დოზით იყენებენ სწავლის პროცესში კომპიუტერულ მოწყობილობებს და პედაგოგებსაც გავლილი აქვთ სისტემის დონეზე ორგანიზებული სხვადასხვა ტრენინგი (Tabatadze & Chachkhiani, 2021), რასაც ვერ ვიტყვით საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებზე.

ასევე, სტატისტიკურად მნიშვნელოვანია განსხვავება ეთნიკურად ქართველ და არაქართულენოვან მასწავლებლებს შორის მათი კვალიფიკაციის, სერტიფიცირების, გადამზადების, სახელმწიფოსაგან მიღებული სერვისების, ტრენინგების თვალსაზრისით (Dalakishvili & Iremashvili, 2020). გარდა ამისა, სიახლესთან ადაპტაცია განსაკუთრებული გამოწვევა აღმოჩნდა შედარებით ასაკოვანი მასწავლებლებისათვის. ამ მიზეზით, ზოგიერთი სკოლის შემთხვევაში, ტრენინგებში ჩართეს ასაკოვანი მასწავლებლების ოჯახის წევრები და შემდეგ ისინი ეხმარებოდნენ პედაგოგს ონლაინ სწავლების პლატფორმის გამოყენებაში (Tabatadze & Chachkhiani, 2021).

ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტირება და სასწავლო გეგმების მორგება ონლაინ სწავლებაზე:

კვლევის ფარგლებში გამოკითხული მასწავლებლების, დირექტორებისა და სპეციალისტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება, სასწავლო გეგმებზე მუშაობა მასწავლებლებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო პანდემიამდეც და დისტანციური სწავლების პროცესშიც. ამასთან, აღსანიშნავია რომ მიუხედავად დანაკარგების არაერთგვაროვანი აღქმისა და განაწილებისა, 2020 წელს რეგულიაციის პროგრამების საჭიროების მიზნით განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლები და დირექტორები რეკომენდაციებზე მსჯელობისა ყველაზე მნიშვნელოვნად კურიკულუმთან დაკავშირებული ინტერვენციების განხორციელება დასახელდა (არავიაშვილი, & რატიანი, 2021).

გამომდინარე იქიდან, რომ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, თავისი არსით, აგებულია ცნებების და საბაზო მიზნების მიღწევის ლოგიკით, კურიკულუმის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ძველი ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებით, მასწავლებლებს შედარებით მარტივად უნდა განესაზღვრათ პრიორიტეტები და სამიზნე ცნების მიხედვით აერჩიათ თემატური ერთეული. თუმცა, მასწავლებლების ფოკუს ჯგუფებში, როგორც ახალი, ასევე ძველი კურიკულუმის შემთხვევაში, სკოლის დონეზე სასწავლო გეგმის შემუშავება-ადაპტირების პროცესი გამოწვევებით მიმდინარეობდა. რესპონდენტი მასწავლებლები ხშირად ახსენებდნენ ტერმინს „სასწავლო მასალის დაფარვა“, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილი ტრადიციული მიდგომით აგრძელებდა სწავლებას, მათ შორის, იმ საფეხურზე და საგნებშიც, რომლისთვისაც ახალი, ცნებებზე დაფუძნებული ეროვნული სასწავლო გეგმა უკვე არსებობდა. სასწავლო დანაკარგების მოცულობის განსაზღვრისთვის, მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, საგულისხმოა, რომ გამოკითხული მშობლების უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ მასწავლებლები, რომლებიც ზედმინევნით მიჰყვებოდნენ სახელმძღვანელოს და ტრადიციული ფორმით უძღვებოდნენ საგაკვეთილო პროცესს, ატარებდნენ გამოკითხვას, უკეთ ართმევდნენ თავს დისტანციურ სასწავლო პროცესს, ვიდრე ის მასწავლებლები, რომლებიც მრავალფეროვან და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს იყენებდნენ.

კურიკულუმზე მუშაობის დაბალი მზაობა ასევე გამოიხატება კომპლექსური დავალებების შექმნასა და გამოყენების პრაქტიკაში. კერძოდ, 2020 წელს, UNCIEF და განათლების კოალიციის მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით, რაც უფრო დაბალი კომპეტენციისაა მასწავლებელი და რაც უფრო ცუდად იცნობს ახალ ეროვნულ გეგმას, მით უფრო დიდ რისკს ხედავს, რომ კომპლექსური დავალებების, და მათ შორის ონლაინ კომპლექსური დავალებების შესრულებას დამატებითი დრო სჭირდება. ამასთან, ასეთი მასწავლებლები უფრო შემაჯამებელი/განმსაზღვრელი შეფასების ფორმად აღიქვამენ კომპლექსურ დავალებებს და არა სასწავლო რესურსად, სადაც შეფასება ერთ-ერთი, მაგრამ არა უმთავრესი ეტაპია.

ამ შემთხვევაშიც, კურიკულუმზე მუშაობის უკეთესი მზაობა ჰქონდათ მასწავლებლებს, რომლებიც კარგად იცნობენ კომპლექსურ დავალებას, ახალი სკოლის მოდელში არიან ჩართულები ან თა-

² პროგრამა 2010 წლიდან ხორციელდება და ითვალისწინებს საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეებისა და მათი დამრიგებლების პორტატიული კომპიუტერებით უზრუნველყოფასა და წარჩინებული მოსწავლეების კომპიუტერული ტექნიკით ნახალისებას.

ვად არიან ამ მიმართულებით ტრენერები. ამ შემთხვევაში, ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, რომ დისტანციური სწავლების ფარგლებში შეამცირეს სამიზნე ცნებების რაოდენობა და მაქსიმალურად ფოკუსირდნენ საკვანძო ცნებების სწავლებაზე.

მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება:

კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც მასწავლებლების კომპეტენციასთან არის დაკავშირებული, განმავითარებელი შეფასების სწორად გამოყენებას უკავშირდება. კვლევის რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ განმავითარებელი შეფასება დღემდე ვერ იქცა მასწავლებლების ყოველდღიური პრაქტიკის ორგანულ ნაწილად. დისტანციური სწავლების პერიოდში კი განმავითარებელ შეფასებას ორმაგი დატვირთვა ჰქონდა: ერთი მხრივ, უზრუნველყო მოსწავლის პროგრესის და სასწავლო მიღწევების შეფასება და დახმარებოდა მას სასწავლო მიზნების მიღწევაში და, მეორე მხრივ, ნაეხალისებინა დამოუკიდებელი სწავლა და დისციპლინა.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლების უმრავლესობა Teams-ით ან სხვა საშუალებით უგზავნიან მოსწავლეებს განმავითარებელ კომენტარს, კომენტარები არ იყო სრულყოფილი და ორიენტირებული იყო მოსწავლის შექებაზე ან მიღებული ქულის განმარტებაზე.

პანდემიაზე რეაგირების ფარგლებში, დისტანციური სწავლების ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა 340 დამხმარე რესურსი მასწავლებლებისთვის ინსტრუმენტებთან მუშაობის უნარების და საგაკვეთილო პროცესში ეფექტური გამოყენებისთვის. მასწავლებლები იყენებდნენ მზა კომპლექსურ დავალებას, ხოლო ტელესკოლის ფარგლებში მომზადებულ გაკვეთილებს, იყენებდნენ როგორც სარეკომენდაციო სახაზავ მასალას. თუმცა, ტრენინგ მოდულებში შედარებით ნაკლები აქცენტი კეთდებოდა მოსწავლეთა მოტივაციაზე, მათი შეფასების მეთოდოლოგიაზე და განმავითარებელი შეფასების მიწოდებაზე, რასაც აღნიშნავდნენ როგორც მასწავლებლები, ასევე კვლევაში მონაწილე სპეციალისტები. ასეთი სახის რესურსები არ იყო ხელმისაწვდომი ეთნიკური უმცირესობების ენებზე (Tabatadze & Chachkhiani, 2021).

სპეციალისტები იზიარებდნენ მოსაზრებას, რომ დისტანციური სწავლების ფარგლებში მასწავლებლების მზაობის ცვლილება მხოლოდ ტექნიკური მზაობის გაზრდით შემოიფარგლა და არა დისტანციური სწავლების პედაგოგიკის თვალსაზრისით, რაც აისახებოდა იმაზე, რომ მასწავლებლები დიდწილად ორიენტირებულები იყვნენ სასწავლო პროცესის უცვლელად პროგრამა Teams-ში გადატანაზე და ნაკლებად ახალი სწავლების ფორმატის მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებაზე .

და ბოლოს, მასწავლებლებს უწევდათ ძლიერი სტრესის ქვეშ მუშაობა, რასაც აღწერდნენ სხვადასხვა ფორმატის ინტერვიუს, დისკუსიის, მათ შორის საჯარო შეხვედრების ფარგლებში. სამუშაოს მოცულობისა და სიახლეებთან შეგუების სირთულეების გარდა, მასწავლებლების დიდი ნაწილი ასევე წარმოადგენს კორონა ვირუსის რისკ ჯგუფს (ასაკის ნიშნით), რაც აორმაგებდა მათ სტრესს და შფოთვას.

ბევრი მასწავლებელი, სკოლის დირექტორი და განათლების სპეციალისტი მიიჩნევს, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილი პროფესიული გადარწმუნების ზღვარზეა, რაც აისახება მოსწავლეებთან ნეგატიურ კომუნიკაციაში და ზოგადად, სწავლა-სწავლების პროცესის მართვაში. მიუხედავად აღნიშნულისა, მასწავლებლებისთვის ამ მიმართულებით მხარდაჭერის რაიმე სერვისი არ ამოქმედებულა, რაც, ექსპერტების შეფასებით, აუცილებლად იმოქმედებს ახალ სასწავლო წელზეც.

3.4 მშობლების ჩართულობა და მხარდაჭერა

მშობლების გავლენის მნიშვნელობას მოსწავლეების სწავლების ხარისხზე და სასწავლო დანაკარგებზე 2 ძირითადი ფაქტორი განაპირობებს. პირველ ყოვლისა, მშობლების მიერ მოსწავლეებისათვის შექმნილი სასწავლო გარემო, სასწავლო და დამხმარე რესურსები და სხვა ფინანსური მხარდაჭერა სასწავლო მიღწევებისა და დანაკარგებში განსხვავების ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორია. ამ მხრივ, მნიშვნელოვნად განსხვავდება რესურსების ხელმისაწვდომობა ეთნიკური ნიშნით, ასევე სკოლის მდებარეობის მიხედვით. მაგ. აზერბაიჯანული სექტორის მოსწავლეთა

1%-ზე ნაკლებია უზრუნველყოფილი სახლში საგანმანათლებლო რესურსით (PIRLS 2016). ასევე, საგანმანათლებლო რესურსების განაწილება უაღრესად არათანაბარია ქალაქსა და სოფლად მდებარე სკოლებს შორის: ქალაქში მდებარე კერძო სკოლების მოსწავლეთა მესამედი სახლში სწავლისთვის მრავალფეროვანი რესურსებით არიან უზრუნველყოფილი. მაშინ, როდესაც სოფლად მდებარე საჯარო სკოლების მოსწავლეთა მხოლოდ 3.6%-ს მიუწვდება ხელი ანალოგიური მოცულობის რესურსებზე.

ფოკუს ჯგუფების ფარგლებში მასწავლებლები, ისევე როგორც სსსმ მოსწავლეებთან მომუშავე მასწავლებლები, ხშირად აღნიშნავენ, რომ სმენისა და მხედველობის პრობლემების მქონე მოსწავლეებს შეჭირვებული ოჯახებიდან არ ჰქონდათ ხელმისაწვდომობა არა მხოლოდ აღჭურვილობასა და ინტერნეტზე, არამედ მაღალი ხარისხის ნამკითხველებზე, სმენისა და მხედველობის გაუმჯობესების ინსტრუმენტებზე და სხვა დამხმარე ტექნიკაზე.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე მშობლები და მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სწავლების პროცესში მონაწილეობისთვის უწევდათ ინტერნეტისა და სხვა ხარჯების დაფარვა, ასევე ცალკეულ საგნებში რეპეტიტორების დაქირავება, (მოვიაზრებთ მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც მშობელმა კონკრეტულად მოსწავლის ჩამორჩენის გამო მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება).

მეორე მხრივ, მშობლების არამატერიალური/არაფინანსური კონტრიბუცია, რაც, მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართულობის, დავალებების მომზადებაში და სასწავლო პროცესის ორგანიზებაში დახმარებით გამოიხატება, პოზიტიურ გავლენას ახდენს როგორც მოსწავლის მიღწევებზე, ასევე მის მოტივაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საერთაშორისო კვლევის ფარგლებში მშობელთა სასწავლო აქტივობების ჩართულობის მიხედვით საქართველო მოწინავე პოზიციას იკავებს (PIRLS 2016), განსხვავებები ეთნიკური და სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით მაინც შეინიშნება. სოფელში მცხოვრები და ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეების მშობლები მსგავს აქტივობებში უფრო ნაკლებად ერთვებიან, ქალაქში მცხოვრები მოსწავლეების მშობლებთან შედარებით.

დისტანციური სწავლების პირობებში მშობლების როლი კიდევ უფრო გაიზარდა, ვინაიდან მოსწავლეების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, საჭიროებდა მშობლის უწყვეტ მეთვალყურეობასა და მხარდაჭერას. ფოკუს ჯგუფის მონაწილე მშობლები ამბავილებენ ყურადღებას სკოლასთან კომუნიკაციის პრობლემებზე და აღნიშნავენ, რომ სკოლების დახურვის მომენტში მათ ზუსტი ინფორმაცია ან რეკომენდაციები, როგორ გაგრძელებოდა სასწავლო პროცესი, არ ჰქონდათ და ძირითადად ტელევიზიისა და ინტერნეტის საშუალებით მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობოდნენ. მშობლებისთვის დამატებით გამოწვევას ქმნიდა ის ფაქტიც, რომ მათ არ იცოდნენ, როდის და რა ფორმით გადადიოდა სკოლა/კლასი დისტანციურ სწავლებაზე. გაუმართავი კომუნიკაციის სისტემა ხელს უშლიდა, სწორი გადაწყვეტილებები მიეღოთ მოსწავლეების სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის.

გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში, მშობლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია, თუ როგორ, რა მიდგომებით ასწავლიდნენ სკოლაში მათ შვილს და როგორ ზომავდნენ მის მიღწევებს. მშობლების არაინფორმირებულობა კი ისევ და ისევ ხელს უშლიდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. მაგალითად, მშობლები აკრიტიკებდნენ მასწავლებლებს იმის გამო, რომ ისინი მოსწავლეებს არ უტარებდნენ 1 საათიან გაკვეთილებს ან არ ატარებდნენ ტრადიციულ გამოკითხვას.

მშობელთა ინფორმირებულობის საკითხთან დაკავშირებული პრობლემა კიდევ უფრო მძაფრად არის გამოხატული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის, ვინაიდან, რიგ შემთხვევაში, მათ არ იციან ქართული ენა. ინფორმაციის ნაკლებობა ასევე გამოწვევა იყო სსსმ მოსწავლეების მშობლებისთვისაც, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ მხარდაჭერას მოსწავლესთან სახლში მუშაობის თვალსაზრისით. მათი შვილების სასწავლო პროცესში ჩართულობა მათგან გაცილებით მეტ მზაობას, დროს და მომზადებას მოითხოვდა.

მშობლების ჩართულობისა და ინფორმირებისთვის განხორციელებული ინტერვენციები წარმოადგენდა ზოგად რეკომენდაციებს, რომელსაც სკოლები იღებდნენ სამინისტროსგან და უზიარებდნენ მშობლებს. იშვიათ შემთხვევაში, სკოლები, ლოკალურად უწევდნენ მშობლებს დახმარებას. მშობლების ჩართულობისა და მათი დისტანციური სწავლების პროცესისთვის მომზადების მიზნით განხორციელებული აქტივობები ხორციელდებოდა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. მშობლების პედაგოგიზაციის და სკოლასთან კომუნიკაციის პროცესის სწორად დაგეგმვის მხრივ ყველაზე აქტიურად მუშაობდა მშობლების

სკოლა, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“ მიერ მომზადდა არა ერთი ვიდრე სემინარი და რესურსი ყველა საფეხურის მშობლებისთვის.

ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე covid-19 ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევის (MICS Plus) 2021 პირველი ტალღის შედეგების მიხედვით, მოსწავლეებს დავალებების მომზადებაში ძირითადად ეხმარებოდნენ მშობლები ან ბებია-ბაბუა და დედმამიშვილები, თუმცა საერთო ჯამში მოსწავლეთა მხოლოდ 59%-ს ეხმარებოდნენ სახლში დავალებების მომზადებაში. აღსანიშნავია, რომ ეს რიცხვი 41%-ს შეადგენდა კერძო სკოლების, ხოლო 61.2%-ს საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის.

მშობელთა დახმარებას სასწავლო პროცესში განსხვავებულად აფასებდნენ მასწავლებლები და თავად მშობლები. მასწავლებლების ნაწილი აღნიშნავდა, რომ მშობლები დახმარებას ცდილობდნენ უშუალოდ გაკვეთილის პროცესში კარნახის გზით, რაც არათუ ეხმარებოდა, არამედ პირიქით ხელს უშლიდა მოსწავლეს და უქმნიდა არაკომფორტულ გარემოს სწავლისათვის. მეორე მხრივ, ხშირ შემთხვევაში მშობელი თავის როლს ხედავდა მოსწავლის ტექნიკური და სხვა სახის რესურსების მობილიზებაში და ნაკლებად მაგალითად დავალებების შესრულებაში, ან დამატებითი აქტივობების განხორციელებაში დახმარებით (გარდა დაწყებითი კლასების მოსწავლეების მშობლებისა, რომელთა ჩართულობა მოსწავლეების სწავლაში როგორც წესი უფრო მაღალია).

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებისა და სკოლის წარმომადგენლების შეფასებით, მშობლების ჩართულობის მნიშვნელობა მკაფიოდ გამოიკვეთა პანდემიის პირობებში, მშობლები და მშობლებთან მომუშავე ორგანიზაციები ფაქტობრივად არ მონაწილეობდნენ დისტანციური სწავლების პროცესის დაგეგმვაში, როგორც სკოლის, ასევე სისტემის დონეზე. ასევე, რესპონდენტების მოსაზრებით, საჯარო სკოლების უმრავლესობაში მშობლებთან კომუნიკაციას არ ჰქონდა სისტემატიზირებული და ორგანიზებული ხასიათი, რაც გაზრდიდა მშობლების ინფორმირებულობასა და მოსწავლეების დახმარების ხარისხს.

მშობლების ჩართულობასთან დაკავშირებული რისკები და დაბრკოლებები არ არის გათვალისწინებული სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის შეწყვეტისა თუ აღდგენის სტრატეგიების შემუშავების ფარგლებში, რაც პრობლემურია როგორც მოსწავლეთა სასწავლო დანაკარგების თვალსაზრისით, ასევე რემედიაციის პროგრამების შემუშავების მხრივ, რომელიც მშობლისა და სკოლის მჭიდრო კომუნიკაციას საჭიროებს.

3.5 მოსწავლეთა სიფხული კომპიუტერული

დისტანციური სწავლა-სწავლების პროცესისა და მოსწავლეების მიერ სასწავლო მიზნების მიღწევაზე მოქმედ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია მოსწავლის ციფრული კომპეტენციები და მედია წიგნიერება, რომელთა განვითარებაც მოსწავლეებში ესგ-ით არის განსაზღვრული. როგორც ექსპერტული პანელის, ასევე ფოკუს ჯგუფის წევრები აღნიშნავდნენ, რომ კლასისა და ასაკის მიუხედავად, მოსწავლეებს ჰქონდათ მაღალი მზაობა და მოტივაცია ემუშავათ ონლაინ პროგრამებთან, სწრაფად აეთვისებინათ ახალი ინსტრუმენტები გამართული ტექნიკის და ხელმისაწვდომი ინტერნეტის პირობებში. წიგნიერების საერთაშორისო კვლევის PIRLS და EPIRLS 2016 წლის მიხედვით, მოსწავლეთა თითქმის ნახევარი მაღალი თვითეფექტურობით გამოირჩეოდა კომპიუტერის გამოყენებისას. ასევე, მოსწავლეთა ნახევარი დღის განმავლობაში 30 წუთზე მეტს უთმობდა კომპიუტერისა და ტაბლეტის გამოყენებას დავალების მომზადების მიზნით (45%). თუმცა, ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატებოდა ამერბაიჯანელი მოსწავლეების წილს (25.75%).

ამასთან, მასწავლებელთა თქმით, მოსწავლეები ადვილად ახერხებდნენ სხვადასხვა პროგრამის გამოყენებას და ინფორმაციის მოძიებას, თუმცა, უჭირდათ ონლაინ რესურსების ანალიზი. იგივე გამოწვევაზე მიაწინებდა წიგნიერების საერთაშორისო კვლევის PIRLS/EPIRLS 2016 წლის შედეგებიც. კერძოდ, მოსწავლეებს ელექტრონულად მოცემულ ტექსტებში ინფორმაციის პოვნა და უშუალო დასკვნების გამოტანა უკეთ გამოსდით, ვიდრე ინტერპრეტაცია, ინტეგრაცია და შეფასება. ასევე, მნიშვნელოვანია განსხვავება ქართულ და ამერბაიჯანულ სექტორებს შორის, ქართული სექტორის მოსწავლეებისთვის ეს მაჩვენებელი 479 ქულაა, ხოლო ამერბაიჯანული სექტორისთვის 433-ს შეადგენდა.

რესპონდენტების შეფასებით, ციფრულ ტექნოლოგიებთან მუშაობის დაბალი მზაობა ჰქონდათ სსსმ და შშმ მოსწავლეებს, ერთი მხრივ, უნარების ნაკლებობიდან გამომდინარე, და მეორე მხრივ, იმის გამოც, რომ სპეციალური მასწავლებლები, რიგ შემთხვევაში, ცდილობდნენ, ლიმ-იტირებულად გამოეყენებინათ ციფრული ტექნოლოგიებს სხვადასხვა ფსიქო-სომატური განვითარების შეფერხების მქონე მოსწავლეებთან, მათი გაღიზიანებისა და მიჯაჭვულობის თავიდან არიდების მიზნით (Save the children, 2021).

ცალკე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სპეციალისტებისა და მშობლების შეფასებით, მოსწავლეები დაბალ მზაობას ავლენენ ონლაინ უსაფრთხოების წესების დაცვის თვალსაზრისით და სიფრთხილით არ ეკიდებიან პირადი მონაცემების, საეჭვო ვებგვერდებისა და პორტალების გამოყენებას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოსწავლეთა თვითეფექტურობის მხრივ საჭირო ინტერვენციები, ერთი მხრივ, ხელმისაწვდომობის გაზრდისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული და, მეორე მხრივ, ონლაინ პედაგოგიკისა და თვითმასწავლებელი რესურსების განვითარებაზე, რაც მოსწავლეებს დაეხმარებოდა უფრო ეფექტიანად და სასწავლო მიზნებისთვის გამოეყენებინათ ტექნიკა და ინტერნეტი.

4 ძირითადი მიზნობრივი ანალიზი

4.1 სასწავლო დანაკარგების მოხურობა დისტანციური სწავლების უწყვეტიანობის კონსერვაციისთვის

კვლევის ფარგლებში მკაფიოდ გამოჩნდა, რომ პირისპირ სწავლების შეწყვეტისა და დისტანციური სწავლების პერიოდში მოსწავლეებს ჰქონდათ მნიშვნელოვანი სასწავლო ჩამორჩენა ყველა საფეხურზე და საგნობრივ ჯგუფში. ამასთან, სასწავლო დანაკარგი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ და გამჭოლ კომპეტენციებში განსხვავებულად განაწილდა მოსწავლისა და სკოლის დონეზე.

სასწავლო დროის დანაკარგის თვალსაზრისით, თითქმის 1.5-2 ჯერ და ცალკეული საგნების შემთხვევაში, კიდევ უფრო შემცირდა საკონტაქტო საათების რაოდენობა სწავლა-სწავლების პროცესში, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო საგნობრივი და გამჭოლი კომპეტენციების კუთხით სასწავლო დანაკარგების გაღრმავებას და, მეორე მხრივ, ნეგატიურად აისახა მოსწავლეების დისციპლინასა და დამოუკიდებლად სწავლის უნარებზე.

საგნობრივ ჭრილში აღქმული სასწავლო დანაკარგი ყველაზე მაღალია მათემატიკაში. საფეხურის ჭრილში კი დანყებით საფეხურზე სასწავლო დანაკარგები ყველაზე მეტად გამოხატულია წიგნიერებაში და რაოდენობრივ ამოცანებში, მათემატიკაში - საბაზო საფეხურზე, ხოლო საშუალო საფეხურზე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. თუ მხედველობაში მივიღებთ მოსწავლეების მიღწევებს და მათ განაწილებას დაბალი და მაღალი მიღწევების ჭრილში, აღნიშნული ტენდენცია ქმნის იმის რისკს, რომ კიდევ უფრო მეტი მოსწავლე აღმოჩნდება მიღწევების ყველაზე დაბალ კატეგორიაში, ან მის მიღმა.

ამასთან, საგულისხმოა დანაკარგი მოსწავლეების მოტივაციის თვალსაზრისით, რაც, მოკლევადიან პერსპექტივაში, პირდაპირ აისახება მათ ჩართულობაზე სასწავლო პროცესში, ხოლო გრძელვადიან პერიოდში, აკადემიური მიღწევების გაუარესებამ, შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს მათ განათლებაზე, სწავლის გაგრძელებაზე პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებლებში და საბაზისო კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე.

სასწავლო დანაკარგების არიდება სწავლის შეწყვეტის ან დისტანციური სწავლების პირობებში ფაქტობრივად შეუძლებელია, თუმცა დანაკარგის მოცულობა, ისევე როგორც დანაკარგის განაწილება, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს განათლების სისტემა უზრუნველყოს მოსწავლეთა უნივერსალური და ინკლუზიური ჩართულობა მაღალი ხარისხის დისტანციურ სასწავლო პროცესში.

დისტანციურ სწავლებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესის უწყვეტობის აღდგენა და შენარჩუნება სისტემამ უმოკლეს დროში მოახერხა, ხელმისაწვდომი გახდა ონლაინ სწავლების სივრცე (Teams) და შექმნა პროგრამა ტელესკოლა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი დამხმარე რესურსი. თუმცა, განხორციელებული ინტერვენციები ორიენტირებული იყო პროცესის შენარჩუნებაზე და ნაკლებად სწავლის ხარისხის უზრუნველყოფაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მაშინაც კი, თუ მოსწავლეებს ჰქონდათ ყველა პირობა დისტანციურ/ჰიბრიდულ სასწავლო პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის, აღნიშნული ვერ უზრუნველყოფდა სასწავლო დანაკარგების შემცირებას ან პრევენციას.

მართალია, გაზიარებულია მოსაზრება დანაკარგების მნიშვნელობის შესახებ, თუმცა, კვლევის პროცესმა ცხადყო, რომ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს უჭირთ სასწავლო დანაკარგების აღქმა და შეფასება როგორც სისტემის, ასევე საგნის, კლასის ან სკოლის კონტექსტში. სკოლების უმრავლესობაში, ხარისხის მართვის სისტემის არარსებობის პირობებში, კლასის და მოსწავლის დონეზე სასწავლო პროცესის რეალური შედეგების შეფასება, ინფორმაციის შეგროვება (micro data) და ანალიზი არ ხორციელდებოდა. სისტემის დონეზე არ

ჩატარებულა მოსწავლეთა სწავლების შედეგებისა და მიღწევების მონიტორინგი, შეფასება. ბო-
გადად, სასწავლო დანაკარგების შესახებ მსჯელობა ნაკლებად იყო წახალისებული. რესპონ-
დენტების შეფასებით, სკოლების დირექტორების ნაწილი ერიდებოდა არა მხოლოდ კანონით
მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებას და მოსწავლეთა სასწავლო პროცესის გაუმჯობე-
სებას პრობლემების დროული იდენტიფიცირების გზით, არამედ ცდილობდა მაქსიმალურად
დადებითი სტატისტიკა (ჩართულობა-მონაწილეობა) წარედგინა სამინისტროსთვის.

**მართვასთან დაკავშირებული გამოწვევების გარდა, სასწავლო დანაკარგების მოცულობის
ჭრილში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მუშაობის პრაქ-
ტიკა.** კონკრეტული საგნისა და საფეხურის მასწავლებლები, მათ შორის, კურიკულუმის სპეცი-
ალისტებიც კი, არ იცნობენ ყველა საფეხურის კურიკულუმს, ასევე სხვა საგნების კურიკულუმებს,
სწავლა-სწავლების ორგანიზების პროცესს, რაც ართულებს მათთვის სასწავლო დანაკარგის
ანალიზსა და მისი გრძელვადიანი და გამჭოლი ეფექტის წარმოდგენას. **როგორც კვლევის შედ-
ეგებიდანაც ჩანს, მასწავლებლებს ჯერ კიდევ უჭირთ სასწავლო მიზნების და სასწავლო
პროგრამის ამონურვის მკაფიო გამოიყვანა, შესაბამისად, ძალიან დიდ ძალისხმევას დებენ
თემატური საკითხების დაფარვაში და არა სასწავლო მიზნების მიღწევაში. პრობლემა
მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უკვე არსებული სასწავლო დანაკარგის ანალიზისთვის,
არამედ მიზნობრივი რეგულიაციის პროგრამების შემუშავებისათვის.**

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების მიხედ-
ვით, სკოლის, როგორც საგანმანათლებლო და სოციალური ინსტიტუტის მიმართ დამოკიდებუ-
ლება უფრო ნეგატიურად იცვლება, ვიდრე პოზიტიურად, მაშინ როცა, რესპონდენტები მიიჩნევენ,
რომ მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟი კიდევ უფრო გაიზარდა.

4.2 სასწავლო დანაკარგები და უთანასწორობა დისტანციური სწავლების კონტექსტში

დისტანციური სწავლების პროცესი ქვეყნაში განსხვავებულად წარიმართა, თუმცა ყველა მოსწავ-
ლის ჩართულობა სასწავლო პროცესში და ასევე სასწავლო დანაკარგების პრევენციის უზრუნ-
ველყოფა სისტემის დაბალი მზაობისა და მართვის ხარვეზების გამო სათანადოდ ვერ გან-
ხორციელდა. დისტანციური სწავლების პროცესის ხარისხზე და ხელმისაწვდომობაზე მოქმედი
ფაქტორების ანალიზის მიხედვით, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა
უნივერსალური და ინკლუზიური ჩართულობის უზრუნველყოფასთან მიმართებით სახელმწიფოს
მიერ განეული ძალისხმევა არაეფექტიანი იყო ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის: ბავშვები
სოციალურად დაუცველ და გაჭირვებულ ოჯახებში, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები
(განსაკუთრებით ამერბაიჯანული სექტორის მოსწავლეები), სსსმ მოსწავლეები.

სასწავლო დანაკარგების უთანასწოროდ განაწილებაზე გავლენა იქონია, როგორც მოსწავლეს-
თან დაკავშირებულმა ფაქტორებმა (სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, მდებარეობა, სახელმწი-
ფო ენის ფლობა), ასევე სკოლასთან დაკავშირებულმა ფაქტორებმაც (მდებარეობა, რესურსები
და მხარდაჭერა სკოლის დონეზე).

სასწავლო დანაკარგების უთანასწორობა მეტად გამოიხატა ციფრულ უთანასწორობაში. დისტან-
ციური სწავლების პლატფორმების განვითარების მიუხედავად, ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის
გაზრდის მიზნით, დროული და ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა, თუ არ გავითვალისწინებთ
ცალკეული სკოლების ან/და კერძო საქველმოქმედო ინიციატივებს. არაეფექტური რეაგირების
კომპენსაცია მატერიალური სახით მოუწიათ შინამეურნეობებს, ინტერნეტისა და ტექნიკის შეს-
ყიდვისა და კერძო რეპეტიტორებისთვის დამატებითი სახსრების გაღების ხარჯზე. დაბალი სო-
ციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებმა ვერ შეძლეს აღნიშნული ხარჯების გაღება და
ამის გამო სრულად ან ნაწილობრივ შეეზღუდათ წვდომა ონლაინ სწავლებაზე.

სახელმწიფო ენის არცოდნით განპირობებული უთანასწორობა აისახა როგორც მასწავლებლის
სწავლების, ასევე მოსწავლის სწავლისა და მშობლის მხარდაჭერის ხარისხზე. ეთნიკური უმცირ-
ესობების წარმომადგენლებს სასწავლო პროცესში ჩართვის პრობლემა შეექმნათ ენობრივი ბა-
რიერის გამო, განსაკუთრებით ამერბაიჯანული სექტორის მოსწავლეებს. ვინაიდან, რიგ შემთხ-
ვევაში, მასალები არ იყო ხელმისაწვდომი ამერბაიჯანულ/სომხურ ენებზე, Teams პლატფორმასაც

არ აქვს ენობრივი მხარდაჭერა ეთნიკური უმცირესობებისთვის, ხოლო არსებული რეკომენდაციები ან ნათარგმნი მასალები მოსწავლეებამდე აღწევდა საშუალოდ 1-2 კვირიანი დაგვიანებით. სსსმ და შშმ მოსწავლეებისთვის ონლაინ სასწავლო პროცესში ჩართულობა ყველა დასახელებულ ფაქტორთან ერთად კიდევ უფრო რთული იყო, ვინაიდან რიგ შემთხვევებში მშობლებს არ ჰქონდათ სათანადო მზაობა (ფინანსური, ტექნიკური თუ ადამიანური) რომ დახმარებოდნენ შვილებს სწავლის პროცესში.

რაც შეეხება ხელმისაწვდომობას და სკოლასთან დაკავშირებული ფაქტორებით განპირობებულ უთანასწორობას, პირველ ყოვლისა, დისტანციური სწავლების ეფექტიანობისა და სასწავლო დანაკარგების თვალსაზრისით, სკოლები განსხვავებულ პირობებში აღმოჩნდნენ დისტანციური სწავლების პერიოდისა და სკოლის მდებარეობიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ 2019-2020 წლის მე-2 სემესტრი განსაკუთრებით რთული იყო მთის და სოფლის/პატარა ქალაქების სასწავლო დაწესებულებებისთვის, ონლაინ სწავლებაში ჩართვასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, საერთო ჯამში, ქალაქში მდებარე საშუალო და დიდი ზომის სკოლებში მოსალოდნელი სასწავლო დანაკარგი უფრო მაღალი აღმოჩნდა. პირველ რიგში, იმიტომ, რომ 2020-2021 წლის შემოდგომის სემესტრმა განსაკუთრებით დააზარალა აჭარის რეგიონის, თბილისის და სხვა დიდი ქალაქების მოსწავლეები, რადგან ყველაზე ხანგრძლივად ისინი იყვნენ დისტანციური სწავლების რეჟიმში ჩართულები. მეორე მხრივ, ქალაქში თავმოყრილია დიდი სკოლები, რომლებსაც, სხვა სკოლებთან შედარებით, უფრო გაუჭირდათ პროცესის როგორც დისტანციურად, ასევე ცვლების საშუალებით მართვა.

იმის გათვალისწინებით, რომ საშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 30%-ში ნაწილდება მოსწავლეთა 60%-ზე მეტი, სკოლები, რომლებიც ყველაზე ხანგრძლივად იმყოფებოდნენ დისტანციური სწავლების პროცესში, ყველაზე მეტ მოსწავლეს აერთიანებდნენ და მათი სასწავლო დანაკარგიც მეტია სხვა ფაქტორების გათვალისწინების გარეშე.

სკოლის დონეზე დანაკარგების შესაძლო არათანაბარი განაწილების ერთ-ერთი წინაპირობაა სკოლის მენეჯმენტი და მასწავლებლის დაბალი მზაობა და კომპეტენციები, რაც მოიაზრებს იმას, რომ სკოლებმა, რომლებმაც დროულად შეძლეს სასწავლო ჩავარდნების იდენტიფიცირება, ასევე შეძლეს 2020-2021 წლისთვის უკეთ მომზადება და სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვა. ამ მხრივ, უპირატეს მდგომარეობაში იყვნენ ახალი სკოლის მოდელის სკოლები, ვინაიდან, გარდა ტექნიკისა და სხვა რესურსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობისა, ახალი სკოლის მოდელში ჩართული მასწავლებლები იღებდნენ დამატებით მხარდაჭერას ესგ-სთან მუშაობის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების, კომუნიკაციისა და ციფრული კომპეტენციების განვითარების მიმართულებით. შესაბამისად, ამ სკოლებში უწყვეტი მხარდაჭერის გამო, ბევრად უფრო დაბალი შეიძლება ყოფილიყო სასწავლო პროცესის ცვლილების შედეგად გამოწვეული სტრესი და გადანვა, ვიდრე იმ სკოლებში, რომლებიც მართო უმკლავდებოდნენ ყველა გამოწვევას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო დანაკარგების კონტექსტში სხვადასხვა ფაქტორით გამოწვეული უთანასწორობა მხოლოდ იდენტიფიცირებული ჯგუფების პრობლემა არ ყოფილა. მაგრამ აღნიშნული ჯგუფები კიდევ უფრო მონყვლადები აღმოჩნდნენ, ვიდრე დანარჩენები და მათი სასწავლო პროცესში შენარჩუნება და დანაკარგის აღმოფხვრა შეიძლება დიდი გამოწვევა აღმოჩნდეს.

5 რეკომენდაციები

5.1 რეგულიაციის პროგრამების განხორციელება COVID-19 პანდემიით გამოწვეული სასწავლო დასაქარგების აღმოფხვრისთვის

საერთაშორისო გამოცდილებასთან ერთად კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ Covid-19 პანდემიის შედეგად გამოწვეული სასწავლო დასაქარგების აღმოფხვრისა და მისი გრძელვადიანი ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია მთავრობებმა გადადგან გაბედული ნაბიჯები და უზრუნველყონ განათლებისა და სოციალური პოლიტიკის გაძლიერება ბავშვთა უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ასევე, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების განგრძობითი მხარდაჭერისთვის. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სასწავლო დასაქარგების განსხვავებული აღქმისა კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს საქართველოში ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე და შემდგომ რემედიაციის პროგრამების განხორციელებას იგივე ტენდენცია გამოიკვეთა ონლაინ გამოკითხვაში, რომლის სამიზნე ჯგუფს მასწავლებლები და დირექტორები წარმოადგენდნენ (არავიაშვილი და რატიანი 2021).

შესაბამისად, რემედიაციური პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები უნდა იყოს, ერთი მხრივ, პანდემიის შედეგად გამოწვეული დასაქარგების აღმოფხვრა და მეორე მხრივ, სისტემის გაძლიერებისა და მომავალში კრიზისების ეფექტური დაძლევისთვის ლოკალური და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება.

კვლევის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები პასუხობს დასახელებულ ამოცანებს და ეხმიანება როგორც სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე სასწავლო დასაქარგის საკითხის აქტუალიზებას, ასევე რემედიაციური პროგრამების შემუშავების და განხორციელების მეთოდურ საკითხებს. წარმოდგენილი რეკომენდაციები პრობლემაზე კომპლექსური და ჰოლისტური რეაგირების მიდგომით არის შემუშავებული და ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- I რელევანტურობა:** პასუხობს გამოწვევებს, რომელიც გაჩნდა პანდემიის პირობებში სწავლა-სწავლების პროცესის შეწყვეტის ან დისტანციური სწავლების დროს;
- II განხორციელებადობა:** განხორციელებადია მოკლე, საშუალო ან/და გრძელვადიან პერიოდში სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით.
- III ეფექტიანობა:** მოსალოდნელია რეალისტური შედეგები შეზღუდული ფინანსური, ადამიანური და დროითი რესურსის არსებობის პირობებში.
- IV მდგრადობა:** ეხმარება კარგი პრაქტიკების განვითარებას და სისტემის კრიზისისადმი რეზისტენტულობის ზრდას.
- V თანმიმდევრულობა:** მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს და მართვის დონეს. ხელს უწყობს პასუხისმგებლობის განაწილებას და თანამშრომლობას ძირითად აქტორებს შორის.

ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები რელევანტურია საქართველოს მთავრობის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების, ასევე განათლების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო დონორებისა და ადგილობრივი არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის.

5.2 ჩაკომენდაციები ეფექტიანი ჩამოყალიბებული პოლიტიკის უზრუნველყოფისთვის

ნარმოდგენილი რეკომენდაციების ჯგუფი მიემართება პოლიტიკის დღის წესრიგში სასწავლო დანაკარგების საკითხის პრიორიტეტიზაციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დროული და ეფექტიანი რეაგირების მექანიზმის შემუშავებისა და იმპლემენტაციისთვის.

- 1.** სასწავლო დანაკარგის საკითხის გააზრების სტიმულირებისა და პოლიტიკურ დღის წესრიგში მისი კომპლექსური ასახვის მიზნით, აუცილებელია სასწავლო დანაკარგები და რემედიალური ინიციატივები განიხილებოდეს არა მხოლოდ დარგობრივი სამინისტროს, არამედ მთავრობის დონეზე, რათა შესაძლებელი გახდეს სექტორებს შორის კოორდინირებული რემედიალური საგანმანათლებლო და სოციალური პროგრამების შემუშავება.
- 2.** პანდემიის მართვის ფარგლებში პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს სკოლებში დასწრებით სწავლების შენარჩუნება, ვინაიდან, სწავლის დისტანციურად/ჰიბრიდულად ხანგრძლივი პერიოდით გაგრძელება ხელს შეუწყობს ახალი დანაკარგების გაჩენას და ასევე, შეაფერხებს რემედიაციის პროცესს.
 - 2a.** აუცილებელია, ვაქცინაციის პროცესის დაჩქარება მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის უსაფრთხოებისა და სკოლების დახურვის შემდგომი რისკების შემცირებისთვის.
 - 2b.** მიზანშეწონილია სკოლების კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების გაგრძელება და მათ შორის, სკოლის მოვლა-პატრონობის მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველობისა და სკოლებს შორის აქტიური თანამშრომლობის ნახალისება.
- 3.** პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, დაუშვებელია განათლების სფეროსთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების შემცირება. უფრო მეტიც, მნიშვნელოვანია სასწავლო დანაკარგის რემედიაციისთვის დამატებითი ფინანსების მობილიზება. ასევე, რეკომენდებულია დონორულ სააგენტოებთან მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია როგორც რესურსების მობილიზაციის, ასევე რემედიალური პროგრამების პრიორიტეტიზაციის, ბიუჯეტის ეფექტიანი მართვისთვის.
- 4.** ხარისხიანი განათლების მიღების ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის ზრდა უნდა იყოს სახელმწიფო პრიორიტეტი. აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა განათლების მიღებასთან არსებული უთანასწორობის აღმოფხვრისათვის, მათ შორის, განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფებისთვის.
 - 4a.** რემედიალური პროგრამები უნდა აისახოს სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკაში, რომელიც მოიცავს სკოლის ასაკის ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერას, სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერებას. ასევე, მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის, მათ შორის, განსაკუთრებით შშმ და სსსმ მოსწავლეებისთვის და მათი მშობლებისთვის ფსიქო-ემოციურ მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.
 - 4b.** ციფრული უთანასწორობის დაძლევისთვის, აუცილებელია მწყობრი, ღია და შედეგზე ორიენტირებული ინტერნეტიზაციის სტრატეგია, რომელიც იქნება როგორც ეკონომიკური და რეგიონალური განვითარების, ასევე სოციალური და განათლების სექტორების გაძლიერების გრძელვადიანი პოლიტიკის ნაწილი. მოკლევადიან პერიოდში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ხელი უნდა შეუწყოს საჯარო, ბიზნეს და საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენელთა დიალოგის ინიცირებას, კერძო-საჯარო პარტნიორობის ინოვაციური მოდელების გამოვლენა-სტიმულირებას, მათ შორის სათემო ფონდების და ინიციატივების ნახალისებას .
 - 4c.** ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეების, მათ შორის, ფოკუსირებულად აზერბაიჯანული სექტორის მოსწავლეებისთვის, აუცილებელია მიზნობრივი რემედიალური პროგრამების შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება სწავლის გაგრძელების მოტივაციის ზრდაზე, სასწავლო ჩამორჩენის აღმოფხვრასა და ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესებაზე.

4c. საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში რეკომენდებულია სასკოლო კვების სახელმწიფო პროგრამის ინიცირება, რაც, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს როგორც მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებლის და მათი სასწავლო პროცესში ჩართულობის გაზრდას, ასევე, სასწავლო დანაკარგების მაკომპენსირებელ ღონისძიებებზე მოსწავლეთა სკოლაში დაყოვნების წინაპირობის შექმნას.

5. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის, ასევე, სხვა შესაძლო პარტნიორი სამინისტროების მონაწილეობით უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის შეგროვებისა და მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირება, რათა შესაძლებელი იყოს მოსწავლისა/და სკოლისა და სისტემის დონეზე მონაცემების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლა-სწავლების პრაქტიკის, მოსწავლეთა სოციალური, ფსიქო-ემოციური და სხვა სახის დახმარების ან საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის გაუმჯობესებისთვის.

5.3 ჩემედიაციის პროგრამების იმპლემენტაცია და მართვა

წინამდებარე თავში წარმოდგენილი რეკომენდაციები მიემართება რემედიაციის პროგრამების იმპლემენტაციას და მოიცავს როგორც მართვის საკითხებს, ასევე, რემედიაციის პროგრამების მეთოდური დაგეგმვისთვის მნიშვნელოვან კომპონენტებს.

1. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციაში მკაფიოდ უნდა დაფიქსირდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამორჩეული ინტერესი და მზაობა დანაკარგის შემცირებისა და რემედიაციის ღონისძიებების მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს თანმიმდევრული და ორმხრივი კომუნიკაცია სკოლებთან, აუცილებელია წახალისდეს სკოლების მიერ პრობლემების გამოვლენა და შესაბამისად, სკოლის კონტექსტზე ორიენტირებული რემედიაციის პროცესის დაწყება. სასურველია, დაიგეგმოს და განხორციელდეს როგორც სასკოლო საზოგადოების, ისე მშობლების ცნობიერების ამაღლების კამპანია სასწავლო დანაკარგისა და მისი აღმოფხვრის აუცილებლობის შესახებ.

2. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს დანაკარგის შემცირებისა და რემედიაციის ღონისძიებათა მოკლე და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და შესაბამისად უნდა აისახოს განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, ასევე, სხვა სტრატეგიულ თუ საკომუნიკაციო დოკუმენტებში.

2a. სკოლებს შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სკოლის ბაზაზე დანაკარგის შეფასებისა და რემედიაციის ღონისძიებების განხორციელების მეთოდური ინსტრუმენტების შემუშავება. სასურველია, მეთოდური და ტექნიკური მხარდაჭერით, პრიორიტეტი მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი სკოლების უზრუნველყოფას მიენიჭოს.

2b. რემედიაციის ინიციატივების წარმატებით განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია სასკოლო რემედიაციის პროგრამების მხარდაჭერი ფონდის ინიცირება, რომელიც სკოლისთვის დამატებით რესურსებზე წვდომას უზრუნველყოფს (ეს შესაძლოა იყოს გარე ექსპერტიზის მოზიდვა, სწავლა-სწავლების რესურსები, დამატებითი საათების ანაზღაურება, დამატებით საათებში ჩართულ მოსწავლეთათვის ხელის ხარჯები თუ სხვა). სასურველია, აღნიშნული ფონდის ბენეფიციარები იყვნენ მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი და დაბალი შესაძლებლობის მქონე სკოლები.

2c. აუცილებელია სკოლის მენეჯმენტის და ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერა და გაძლიერება, რაც მოიაზრებს როგორც სკოლის დირექტორებისათვის ბიუროკრატიული წნეხის შემსუბუქებას, ასევე, მათი კომპეტენციების განვითარებას საგანმანათლებლო ლიდერობის, სკოლის თვითშეფასების, სწავლა-სწავლების პროცესის მონიტორინგისა და მონაცემთა ანალიზის მიმართულებით.

3. პანდემიამ წარმოაჩინა მშობელთა ჩართულობისა და მზაობის მნიშვნელობა. საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელია მშობელთა პედაგოგიზაციაზე მიმართული მწყობრი საჯარო პოლიტიკის ფორმირება და მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფა

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ისევე როგორც სკოლასა და მშობელს შორის თანამშრომლობის ნახალისება და კომუნიკაციის ომხრივი არხების განვითარება.

- 4.** მნიშვნელოვანია, განათლების და, ამ შემთხვევაში, სკოლის საგანმანათლებლო და სოციალური ფუნქციის კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთა და გაძლიერება. ამ მიზნით სასურველია ადგილობრივი სათემო და ახალგაზრდული ორგანიზაციების სკოლებთან პარტნიორობის ხელშეწყობა და მათი ორგანიზაციული და ფინანსური გაძლიერება დამხმარე პროგრამების/ინტერვენციების განხორციელებისთვის.
 - 4a.** აუცილებელია, არაფორმალური განათლების ნახალისება სკოლის დონეზე, ასევე უნდა მოხდეს მოქმედი ახალგაზრდული სათემო ცენტრების შესაძლებლობების და სერვისების განვითარება და მათ ბაზაზე სკოლის მოსწავლეებისათვის მაკომპენსირებელი საგანმანათლებლო-სოციალური სერვისების მხარდაჭერა. ამ მიზნით, სასურველია დონორი ორგანიზაციების დახმარების მოზიდვა, განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.
 - 4b.** დანაკარგების შეფასებისა და რემედიაციის პროგრამების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით, სასარგებლო იქნება სასკოლო ქსელების ნახალისება და მათი ფუნქციონირების მხარდაჭერა ადგილობრივი თვითმმართველობებისა და რესურსცენტრების მხარდაჭერის გაძლიერებით.
- 5.** მნიშვნელოვანია ეროვნული სასწავლო გეგმის ანალიზი და სკოლებისთვის სასწავლო გეგმების ადაპტირების პროცესში მხარდაჭერა, რაც მოიცავს როგორც კურიკულუმში სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფების ფარგლებში შესაძლო ჩამორჩენის იდენტიფიცირებას, ასევე სასწავლო გეგმების ადაპტირებასა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებას.
- 6.** კვლევის შედეგებზე და საერთაშორისო გამოცდილებებზე დაყრდნობით, სასურველია, რემედიაციის პროგრამები ფოკუსირებული იყოს დაწყებით და საბაზო საფეხურებზე და აქცენტი გაკეთდეს, ერთი მხრივ, მათემატიკის (რაოდენობრივი წიგნიერებისა) და კითხვის უნარების გაძლიერებაზე და მეორე მხრივ, დამოუკიდებლად სწავლასა და სხვა გამჭოლ კომპეტენციებზე.
- 7.** აუცილებელია, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში შემუშავდეს და დაინერგოს შერეული სწავლების პრინციპები და მოხდეს მათი გამოყენება თანმიმდევრულად, არა მხოლოდ კრიზისის დროს, არამედ რეგულარულად, რაც დაეხმარება სკოლებს, გაუმკლავდნენ სხვადასხვა მიზეზით განპირობებული კრიზისის დროს სასწავლო პროცესის მართვის სირთულეებს. ასევე, ეს მიდგომა უზრუნველყოფს უფრო მეტი შშმ/სსსმ ან ქრონიკული ჯანმრთელობის მქონე მოსწავლის უწყვეტად ჩართვას სასწავლო პროცესში.
 - 7a.** სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტური მართვის მხარდაჭერის მიზნით რეკომენდებულია, შემუშავდეს და ამოქმედდეს ონლაინ სწავლების გამართული მართვის სისტემა (LMS), რომელიც ადაპტირებული იქნება ქართულ რეალობაზე და უზრუნველყოფს მოსწავლე-მასწავლებელსა და მშობლებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას და სკოლის დონეზე სწავლა-სწავლების პროცესის ოპტიმიზაციას.
- 8.** აუცილებელია მასწავლებლების პროფესიული და პიროვნული მხარდაჭერის გაძლიერება დიფერენცირებული და მრავალფეროვანი პროფესიული განვითარების პროგრამებისა და სკოლის დონეზე მხარდაჭერის მექანიზმების შექმნით.
 - 8a.** მნიშვნელოვანია მასწავლებელთა მხარდაჭერა ეროვნული სასწავლო გეგმის დამუშავების და სწავლა-სწავლების პროცესის სწორად დაგეგმვისთვის.
 - 8b.** დისტანციური, ჰიბრიდული და სწავლების სხვა ალტერნატიული მიდგომების პანდემიის პირობებში და შემდგომ ეფექტიანად გამოყენებისთვის, აუცილებელია დისტანციური სწავლების პედაგოგიკის გაცნობა და პოპულარიზაცია მასწავლებლებსა და სკოლის დირექტორებს შორის. ამასთან, არსებულ და მოსალოდნელ გამოწვევებზე ორიენტირ-

ებული სასწავლო მოდულების შემუშავება და მასწავლებლების გაძლიერება ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრაციისა და მიზნობრივად, მოსწავლეების მიღწევების გაუმჯობესებისთვის გამოყენების მიზნით.

- 8c.** განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მასწავლებლების მხარდაჭერას განმავითარებელი შეფასების სწორად და მიზნობრივად გამოყენების თვალსაზრისით, რათა შეძლონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და სასწავლო მიზნების განსაზღვრა და ჯგუფის დინამიკის გაუმჯობესება.
- 8d.** მიზანშეწონილია მასწავლებელთა პროფესიული გადაწვის რისკის შემცირების მიზნით, შემდეგი სასწავლო წლისთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისების გააქტიურება. ეს შესაძლებელია, განხორციელდეს, სტრესთან გამკლავების საკითხებზე, სპეციალური საინფორმაციო-საგანმანათლებლო რესურსების გავრცელებით, თანასწორ-განმანათლებლების ჩართვით, ხოლო განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევებში, შესაძლებელი უნდა იყოს ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ კონსულტაციებზე წვდომა.
- 8e.** მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, სასურველია, რემედიაციის პროგრამების დაგეგმვის პროცესში ნახალისებული იყოს მასწავლებელთა პროფესიული ჯგუფებისა თუ ასოციაციების გააქტიურება და მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება.

გამოყენებული ლიტერატურა

რატიანი, მ., არავიაშვილია,მ. (2020). რემედიაციის პროგრამები: პასუხი ზოგად განათლებაში პანდემიით განპირობებულ გამოწვევებს. განათლების მეცნიერება 2(2).

Retrieved from: <http://www.jes.org.ge/number/12/article/76/>

განათლების კოალიცია. (2020). რა უნდა გავითვალისწინოთ 2020-2021 სასწავლო წლისათვის - რეკომენდაციები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. განათლების კოალიცია.

Retrieved from: <http://efageorgia.ge/%e1%83%9e%e1%>

საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო. (2020). პროგრამის კონცეფცია - „ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობა“. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.(n.d.).

Retrieved from: <https://www.mes.gov.ge/uploads/files/zogadi-ganatlebis-xelshhecyoba.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2020). პანდემია და ზოგადი განათლება საქართველოში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2020).

Retrieved from: <http://mes.gov.ge/uploads/prezentacia-ganatleba.pdf>

სახელმწიფო აუდიტის სამსახური. (2019). ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში -განათლების მართვის ინფორმაციული სისტემები. სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

Retrieved from: <https://www.sao.ge/ka?isAudit=true>

სახელმწიფო აუდიტის სამსახური. (2021). მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 2017 - 2019 წლების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

Retrieved from: <https://www.sao.ge/ka?isAudit=true>

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. (2020). მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა.შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. Retrived from: <https://naec.ge/uploads/postData/20->

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. (2015). სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS): ეროვნული ანგარიში. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. Retrived from: <https://naec.ge/#/ge/index>

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. (2020). მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA 2018): საქართველოს მოსწავლეთა მიღწევები კითხვაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში.შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. Retrived from: <https://naec.ge/#/ge/index>

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. (2018). წიგნიერება: მეოთხეკლასელთ მიღწევები და მათზე მოქმედი ფაქტორები (PIRLS/EPIRLS). შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. Retrived from: <https://naec.ge/#/ge/index>

ჭანიშვილი, ბ. (2020). დისტანციური სწავლება და არსებული გამოწვევები. ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი. Retrieved from: <https://www.apk.ge/index.php/ge/kvlevebi/distantsiuri-stsavleba-da-arsebuli-gamotsvevebi>

WORLD VISION საქართველო. (2020). COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება. WORLD VISION საქართველო. Retrieved from: http://mes.gov.ge/uploads/files/WVG%20COVID%2019%20Impact%20Assessment-%20A4_GEO.pdf

- Conto, C. A., Akseer, S., Dreesen, T., Kamei, A., Mizunoya, S., Rigole, A., & Unicef. (2020). COVID-19: Effects of school closures on foundational skills and promising practices for monitoring and mitigating learning loss. UNICEF-Innocenti Working Paper, 2020(13), 1-30. https://www.unicef-irc.org/publications/pdf/COVID19_Effects_of_School_Closures_on_Foundational_Skills_and_Promising_Practices_for_Monitoring_and_Mitigating_Learning_Loss.pdf
- Azevedo, J. P., Hasan, A., Goldemberg, D., Geven, K., & Iqbal, S. A. (2021). Simulating the potential impacts of COVID-19 school closures on schooling and learning outcomes: A set of global estimates. *The World Bank Research Observer*, 36(1), 1-40. Retrieved from The World Bank: <http://pubdocs.worldbank.org/en/798061592482682799/-covid-and-education-June17-r6.pdf>
- Bielinski, J., Brown, R., & Wagner, K. (2020). COVID slide: Research on learning loss & recommendations to close the gap. *Illuminate Education*. Retrieved from: <https://f.hubspotusercontent20.net/hubfs/5196620/covid-19-slide-whitepaper.pdf>
- Brief, P. (2020). Education during COVID-19 and Beyond. United Nations(Accessed 2020, at <https://www.un.org/development/desa/dspd/2020/04/social-impact-of-covid-19/>). United Nations. (2020). Policy Brief: Education during COVID-19 and beyond. Retrieved from: <https://www.un.org/development/desa/dspd/wp-content/uploads/sites/22/2020/08/sg-policy-brief-covid-19-and-education-august-2020.pdf>
- Curriculum Associates Research Brief. (2020, October). I Ready Understanding Student Needs Early Results from Fall Assessments. Retrieved from: <https://www.curriculumassociates.com/-/media/mainsite/files/i-ready/iready-diagnostic-results-understanding-student-needs-paper-2020.pdf>
- Dalakishvili, M., Iremashvili, N. (2020). Systemic challenges of the education policy towards the ethnic minorities in Georgia. *Human Rights Education and Monitoring (EMC)*. Retrieved from: <https://socialjustice.org.ge/en/products/etnikuri-umtsiresobebis-mimart-ganatilebis-politikis-sistemuri-gamotsvevebi>
- Di Pietro, G., Biagi, F., Costa, P., Karpiński, Z., & Mazza, J. (2020). The likely impact of COVID-19 on education: Reflections based on the existing literature and recent international datasets (Vol. 30275). Publications Office of the European Union. Retrieved from: https://publications.jrc.ec.europa.eu/repository/bitstream/JRC121071/jrc121071.pdf?mc_cid=ecbb7c6ba9&mc_eid=26e959399a
- Dorn, E., Hancock, B., Sarakatsannis, J., & Viruleg, E. (2020). COVID-19 and learning loss—disparities grow and students need help. McKinsey & Company, December, 8. Retrieved from: <https://www.mckinsey.com/industries/public-and-social-sector/our-insights/covid-19-and-learning-loss-disparities-grow-and-students-need-help>
- Kvavadze, D.,; Basilaia, G. (2020). Transition to Online Education in Schools during a SARS-CoV-2 Coronavirus (Covid 19) Pandemic in Georgia. *Pedagogical Research*. <https://www.pedagogicalresearch.com/download/transition-to-online-education-in-schools-during-a-sars-cov-2-coronavirus-covid-19-pandemic-in-7937.pdf>
- Kuhfield, M., & Tarasawa, B. (2020). The COVID-19 Slide: What Summer Learning Loss Can Tell Us about the Potential Impact of School Closures on Student Academic Achievement. Brief. NWEA. retrieved from: <https://eric.ed.gov/?id=ED609141>
- Mizunoya, Suguru & Amaro, Diogo & Mishra, Sakshi. (2020). Georgia: Education Fact Sheets | 2020 Analyses for learning and equity using MICS data. Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/347957318_Georgia_Education_Fact_Sheets_2020_Analyses_for_learning_and_equity_using_MICS_data/citation/download

Hanushek, E. A., & Woessmann, L. (2020). The economic impacts of learning losses. OECD. Retrieved from: [https://www.edworkingpapers.com/sites/default/files/Hanushek%2B Woessmann%202020%20OECD%20Education%20Working%20Paper%20No.%20225.pdf](https://www.edworkingpapers.com/sites/default/files/Hanushek%2B%20Woessmann%202020%20OECD%20Education%20Working%20Paper%20No.%20225.pdf)

Reimers, F., Schleicher, A., Saavedra, J., & Tuominen, S. (2020). Supporting the continuation of teaching and learning during the COVID-19 Pandemic. OECD, 1(1), 1-38. https://globaled.gse.harvard.edu/files/geii/files/supporting_the_continuation_of_teaching.pdf

Schleicher, A. (2020). The impact of COVID-19 on education insights from education at a glance 2020. Retrieved from oecd.org website: [oecd.org/education/the-impact-of-covid-19-on-education-insights-education-at-a-glance-2020](https://www.oecd.org/education/the-impact-of-covid-19-on-education-insights-education-at-a-glance-2020) Pdf.

Tabatadze, SH, ., Chachkhiani, K..(2021). OVID-19 and Emergency Remote Teaching in the Country of Georgia: Catalyst for Educational Change and Reforms in Georgia? Educational Studies, 57:1, 78-95, DOI: 10.1080/00131946.2020.1863806

Tomasik, Martin & Helbling, Laura & Moser, Urs. (2020). Educational Gains of In-Person vs. Distance Learning in Primary and Secondary Schools: A Natural Experiment During the COVID-19 Pandemic School Closures in Switzerland. International Journal of Psychology. 10.1002/ijop.12728.

UNESCO. (2020, July). COVID-19 response -remediation; Helping students catch up on lost learning, with a focus on closing equity gaps. Retrieved from: <https://en.unesco.org/sites/default/files/unesco-covid-19-response-toolkit-remediation.pdf>

UNESCO, U., & Mundial, B. (2020). What Have We Learnt?: Overview of Findings from a Survey of Ministries of Education on National Responses to COVID-19. Retrieved from: <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/34700>

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი სხვადასხვა კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ქვეყნების მიერ განვლილი გზის და მომავალი გეგმების შესახებ:

უკრაინა

2020 წლის 12 მარტს, კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, უკრაინის ხელისუფლებამ გამოაცხადა 3-კვირიანი კარანტინი და ბევრ სხვა დაწესებულებასთან ერთად დაიხურა საგანმანათლებლო დაწესებულებებიც. სკოლებმა სწავლა დისტანციურ რეჟიმში განაგრძეს. თუმცა, გარდა წითელ ზონებში მდებარე სკოლებისა, პირველ სექტემბერს სწავლა შენობებში განაახლდა, ამასთანავე, დაცული იყო უსაფრთხოების ზომები, მოსწავლეებს მეხუთე კლასიდან ევალებოდათ პირბადის ტარება.

სწავლის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნა youtube არხი და 11 ტელეკომპანიის ეთერში გადაიცემოდა ტელეგაკვეთილები.¹ შემუშავდა დისტანციური სწავლების სპეციალური მეთოდოლოგია, მასწავლებლებმა დაიწყეს გუგლ კლასის გამოყენება. საგაკვეთილო პროცესის ვირტუალურად ორგანიზების მიზნით, აქტიურად იყენებდნენ ზუმ პლატფორმებს, თუმცა, მნიშვნელოვანი პრობლემა იყო სასწავლო რესურსისა და კურიკულუმის ადაპტირება ახალ გარემოებებთან, ამასთანავე, დისტანციური სწავლის პირველ დღეებში ყველაზე დიდ გამოწვევას მოსწავლეთა დასწრების დაბალი მაჩვენებელი წარმოადგენდა.²

2020 წლის ზაფხულის პერიოდში, უკრაინაში ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომლის თანახმადაც, ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი არ იწონებდა დისტანციურ სწავლებას, მხარდამჭერთა რიცხვი კი 32% იყო. ამ მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა დასახელდა მოსწავლეთა წარმატების მაჩვენებლის შემცირება და ისეთი ტექნიკური საკითხები, როგორცაა ინტერნეტის სუსტი კავშირი და კომპიუტერული დანადგარების სიმცირე.³

კვლევებმა ცხადყო, რომ სუსტმა ინტერნეტკავშირმა, კომპიუტერულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობამ, ბევრი პრობლემა გამოიწვია, განსაკუთრებით, სოფლის ტიპის დასახლებებში.

უკრაინის სახელისუფლო ორგანიზაციები ახორციელებენ სწავლის უწყვეტად გაგრძელების პროგრამებს, მათ შორისაა ონლაინ სკოლის პლატფორმა დისტანციური და შერეული სწავლებისთვის. პროექტი, რომელიც ორგანიზებულია უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტროს მიერ, ეხმარება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ჰქონდეთ წვდომა საგანმანათლებლო რესურსებზე და გააგრძელონ სწავლება კარანტინის პირობებში. პლატფორმა მოიცავს გაკვეთილებს 18 საგანში, სხვადასხვა ვიდეო და ტექსტურ რესურსებს. უკრაინა, ასევე, ახორციელებს სატელევიზიო სკოლის პროექტსაც.

განხორციელებულ სხვა პროგრამებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საინფორმაციო კამპანიებსაც. იქიდან გამომდინარე, რომ 2020-2021 სასწავლო წელი განსხვავდებოდა სხვა პერიოდისგან, UNICEF-მა, უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, განახორციელა კამპანია „სკოლა, ჩვენ მზად ვართ“, რომელიც მიზნად ისახავს მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციის, მშობელთა და მოსწავლეთა ინფორმირებას პანდემიის ფონზე უსაფრთხო სწავლების წესებისა და პირობების შესახებ. კამპანიის ფარგლებში, ახალ გარემოში მუშაობისა და სწავლებისთვის, შეიქმნა რესურსები სასკოლო თემის წარმომადგენლებისთვის, რომელიც შეეხება არა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესს, არამედ მოსწავლეთა უსაფრთხო კვებას, ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და ბავშვთა განვითარებისთვის საჭირო საკომუნიკაციო საშუალებებს.⁴

¹ <https://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/eastern-partners/COVID-19-CRISIS-IN-UKRAINE.pdf>
² [https://www.coe.int/en/web/education/responses-from-schools-in-ukraine#{%2264291776%22:\[1\],%2264291817%22:\[0\]}](https://www.coe.int/en/web/education/responses-from-schools-in-ukraine#{%2264291776%22:[1],%2264291817%22:[0]})
³ <https://dif.org.ua/en/article/education-and-the-pandemic-the-attitudes-of-ukrainians-towards-distance-learning-and-external-independent-testing>
⁴ <https://www.unicef.org/ukraine/en/press-releases/back-school-campaign>

რეკომენდაციები, რომლებიც მსოფლიო ბანკმა უკრაინისთვის შეიმუშავა, ასევე რელევანტურია საქართველოსთვის:

1 სწავლის აღგენა/აწევა

მნიშვნელოვანია სხვადასხვა გზით/მრავალფეროვანი საშუალებებით მოხდეს მოსწავლეთა შეფასება, რაც გულისხმობს მათი აკადემიური ცოდნისა თუ სწავლებისადმი მზაობის შეფასებას. როგორც ინგლისის მაგალითმა აჩვენა, 12 კვირიანი მოსამზადებელი პროგრამები სასწავლო დანაკარგებს მნიშვნელოვნად ამცირებენ, შესაძლოა იტალიის გამოცდილების გაზიარებაც, სადაც საბაზო სკოლის მოსწავლეები კვირის მანძილზე სამსაათიან ონლაინ დახმარებას იღებდნენ ინგლისურში, მათემატიკასა და მშობლიურ ენაში (პროგრამამ 4.7%-იანი გაუმჯობესება აჩვენა).

2 მოსწავლეთა შუასაბა

თანადროული შეფასების სისტემების დანერგვა (just in time) სისტემებს მისცემს შესაძლებლობას შეიტყონ უფრო მეტი მოსწავლეთა აკადემიური თუ ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ. შეფასებები შესაძლოა ხორციელდებოდეს არა სტანდარტიზებულად, არამედ სკოლებისა და მასწავლებლების მიერ, ნაკლებად კომპლექსური და სტანდარტული მეთოდებით (გასაუბრება, ტესტირება, დაკვირვება დავალებების შესრულებაზე და სხვა). (McKinsey & Co, 2021).

მოლოჯა

სხვა ქვეყნების მსგავსად, მოლდოვამაც სწავლის უწყვეტობის შენარჩუნება ICT ტექნოლოგიების გამოყენებით სცადა, თუმცა არა ერთი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. დისტანციური სწავლების დანერგვისთვის საჭიროა მაღალი ხარისხის ინტერნეტი და მოსწავლეთათვის გაჯეტებზე სრულფასოვანი წვდომა. 2019 წლის მონაცემებით კი, მოლდოვაში ინტერნეტის შეღწევადობა დაახლოებით 80%-ია. ამასთანავე, ეროვნული საბჭოს მონაცემებით დისტანციური სწავლების პირობებში მოლდოველ მოსწავლეთა 4.8, ხოლო მასწავლებელთა 10.6 პროცენტს არ მიუწვდებოდა ხელი ინტერნეტ და კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე. აღნიშნულმა შეაფერხა საგაკვეთილო პროცესის სრულყოფილად წარმართვა, ასევე სწავლის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. განსაკუთრებული პრობლემები შეექმნა იმ მოსწავლეთს, რომლებიც ცხოვრობდნენ სუსტი ინტერნეტ კავშირის მქონე რეგიონებში, ასევე დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებში და მშობლებთან, რომელთაც უმაღლესი განათლება არ აქვთ. მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსწავლეთა კომპიუტერული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა, რადგან მოლდოვას ამის რესურსი არ გააჩნია. მთელი ქვეყნის სკოლებში საერთო ჯამში 33 000-მდე კომპიუტერია, მათგან 29 000-მდე განკუთვნილია მასწავლებელთა საჭიროებისთვის, ხოლო 24 000-ის ექსპლუატაციის ვადა ამოწურულია, ასევე, კომპიუტერების ნაწილის საკლასო ოთახის გარეთ გამოყენება შეუძლებელია.

მოლდოველ მასწავლებლებში მედიანინგიერების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალი იყო, მათ განვითარებული არ აქვთ დისტანციური სწავლებისთვის საჭირო უნარები. განათლების სამინისტრომ დანერგა სინქრონული და ასინქრონული სწავლების მოდელი, მასწავლებლებს მისცა თავისუფლება, თავად შეერჩიათ მათთვის სასურველი მეთოდი, რამაც პროცესი ქაოსური გახადა მოსწავლეთა და მშობლებისთვის, რომელთაც სხვადასხვა პროგრამის გამოყენება მასწავლებელთა სურვილის მიხედვით უწევდათ. არ არსებობდა დავალების შეგროვების ცენტრალიზებული სისტემა. ამასთანავე, მასწავლებლებს სთხოვდნენ, ყოველდღიური ანგარიში მოემზადებინათ თითოეულ მოსწავლეზე, რაც პედაგოგებისთვის რთული დავალება აღმოჩნდა.

დისტანციური სწავლება ყოველდღიური კომპლექსური და მრავალფეროვანი დავალებების გამო, მოუხერხებელი აღმოჩნდა მოსწავლეთათვის. განსაკუთრებით არაეფექტიანია ამ ტიპის სწავლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის.

ქვეყნის სიდიდის და მის სოციალურ-ეკონომიკურ პროფილზე დაყრდნობით, მოლდოვაში სკოლას წამყვანი ადგილი უჭირავს არა მხოლოდ სწავლების, არამედ მოსწავლეთა კვების, სოციალიზაციის მიმართულებით. შესაბამისად, სკოლების დახურვამ არა მხოლოდ სწავლებას, არამედ მოსწავლეთა მთლიან კეთილდღეობას შექმნა საფრთხე.

ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, მოლდოვას განათლების, კულტურისა და კვლევების სამინისტრომ შეიმუშავა სისტემის მოსამზადებელი გეგმა, ასევე მეთოდ-

ოლოგია და რეგულაციები დისტანციური სწავლებისთვის, გადამზადდნენ მასწავლებლები და მათთვის შეიქმნა ვიდეო რესურსები. კერძო სექტორის მობილიზებით, **ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად, მოლდოვის ხელისუფლებამ გარკვეული დახმარება აღმოუჩინა იმ მოსწავლეებს, რომელთაც არ ჰქონდათ წვდომა ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე.**

ლათვია

